ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 3 ნოემბერი, 2021 | №207 (8736) | ფასი: 60 თეთრი

## „ქართული ოცნება“ ცდილობს, რომ ერთპარტიული პარლამენტი მიიღოს“

ლევან ალაფიშვილი: „ხან ნაციონალები იქნებიან ხელისუფლებაში, ხან – „ოცნება“. ასე ჩაენაცვლებიან ერთმანეთს, ხან ოპოზიციაში და ხან ხელისუფლებაში“



გვ.3

# დავით ზურაბიშვილი: „პრეზიდენტის ადგილზე სააკაშვილს შევიწყალებდი“



**სააკაშვილი: „ღმერთი ისე არ მომკლავს, რომ გამარჯვებული ბათუმის ბულვარში თავაწეულმა არ გავიარო“**

გვ.2

## „შარშან მელია რომ არ დაექირათ, ოპოზიცია კრახისთვის იყო განწირული“



გვ.3

## „მიხეილ სააკაშვილმა თავგანწირვა აჩვენა, ჩამოვიდა, ჩაჯდა და დაიწყო შიმშილი“



გვ.2

დიმიტრი ბიძინაშვილი: „ჩვენ ვნახეთ „ქართული ოცნების“ ოფისთან მოწყობილი სცენა, რომელიც მაშინვე დაიშალა, არც ფოიერვერკი უსვრიათ. ეს ნიშნავს, რომ მათ ყველაზე კარგად იციან, რა მოხდა არჩევნების დღეს“

## მამუკა გიორგაძე: „ოცნება“ და ნაცმოძრაობა ერთმანეთშია აღრეული



გვ.4

## ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველოს მთავრობას შემუშავებული აქვს განვითარების გეგმა 2030 წლისთვის, რომელიც შეესატყვისება გაეროს დღის წესრიგს“




გვ.4



გვ.2

## ირაკლი ღარიბაშვილი: „მადლობას ვუხდი ბორის ჯონსონს და ანტონიო გუტიერეშს გაწეული ძალისხმევისთვის“

## თამაზ გორთამაშვილის მკვლელობაში ბრალდებული მერაბ კობიაშვილის საქმეს ნაფიცი მსაჯულები განიხილავენ

გვ.5



## ვერაზე ტაილანდელი ტრანსგენდერი ქალის მკვლელობისთვის 23 წლის ვ.ც. დააკავეს

გვ.5

ISSN 1987-9385
9 771987 938006

2

**კარლ ჰარცელი: „ევროკავშირი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, შეასრულოს რეფორმებთან დაკავშირებული ვალდებულებები“**

5

**„ცოლს 5 საათი სცემდა, მერე ცოლისძმას და სიმამრს გაუსწორდა“**

მამაკაცს 9 წელი მიესაჯა

6

**სტამბოლი-ჰამბურგის რეისზე კოვიდ-19-ით ინფიცირებული მამაკაცი გარდაიცვალა**

5

**ზუგდიდში დაკავებულ აქტივისტებს პატიმრობა შეეფარდათ**

# „მიხეილ სააკაშვილმა თავგანწირვა აჩვენა, ჩამოვიდა, ჩაჯდა და დაიწყო შიმშილი“

## დიმიტრი ბიძინაშვილი: „ჩვენ ვნახეთ „ქართული ოცნების“ ოფისთან მოწყობილი სცენა, რომელიც მაშინვე დაიშალა, არც ფოიერვერკი უსვრიათ. ეს ნიშნავს, რომ მათ ყველაზე კარგად იციან, რა მოხდა არჩევნების დღეს“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს დიმიტრი ბიძინაშვილი პასუხობს.**

***– დიმიტრი, დამთავრდა არჩევნების მეორე ტურიც, თუმცა ვხედავთ, ოპოზიციაში როგორი საპროტესტო მუხტია. დაანონსებულია საპროტესტო აქციები, ამ საპროტესტო აქციებმა შედეგი რომ არ გამოიღოს თუ გაქვთ სხვა გეგმა, მერე რას აპირებთ? ბევრი აქცია ვნახეთ უკვე ასე ხმაურიან ტალღაზე დაწყებული და უშედეგოდ დასრულებული***

– პირველ რიგში, ვერ დაგეთანხმებით იმაში, რომ აქციებს შედეგი არ მოაქვს, პირიქით, ყოველი აქციის შემდეგ სულ უფრო სუსტდება სისტემა, რომელიც ჩვენ გვართმევს უკეთესი მომავლის განცდას ყოველდღიურად.

რაც შეეხება არჩევნების სამართლიანად ან არასამართლიანად ჩატარებას, პირველი, რაც უნდა ვთქვათ, ჩვენ ვნახეთ გუშინ, ერთ-ერთი ქალბატონი მივიდა ნაციონალური მოძრაობის ოფისში, ისაუბრა იმაზე თუ რა დარღვევით ჩაიარა არჩევნებმა, როგორი ზეწოლა მიმდინარეობდა ადამიანებზე, გამოეყენებინათ იმ ადამიანის ხმები, რომლებიც არ იმყოფებიან ქვეყანაში. ეს ქალბატონი მთელი დღის განმავლობაში ამას საუბრობდა, საღამოს, როდესაც ჩაინიშნა ევროკავშირის წარმომადგენელთან შეხვედრა და სხვა საერთაშორისო პარტნიორებთან, ეს ქალბატონი უბრალოდ გაქრა და როგორც აღმოჩნდა, მერე, შემდგომ მასზე იყო ძალიან დიდი ზეწოლა. მის მეუღლეზე, შვილებზე და, შესაბამისად, გააჩუმეს, როგორც ჩვევია ხოლმე. გარდა ამისა, ჩვენ არჩევნების დღეს ვხედავდით, რომ იყო დაბეჭდილი ყალბი პირადობები, იყო შანტაჟი, ცემა, მუქარა და აი ამის ფონზე ჩაიარა არჩევნებმა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი იკადრა „ქართულმა ოცნებამ“, მაინც ვერ შეძლო იმის თქმა, რომ მათ დამაჯერებლად გაიმარჯვეს.

ჩვენ ვნახეთ „ქართული ოცნების“ ოფისთან მოწყობილი სცენა, რომელიც მაშინვე დაიშალა და გაუქმდა კონცერტი და არც ის ფეიერვერკი უსვრიათ, რომელიც უნდა გაესროლათ არჩევნების შემდეგ. რაც იმას ნიშნავს, რომ მათ ყველაზე კარგად იციან, რა მოხდა არჩევნების დღეს. ის, რომ მათ არ მოუგიათ ეს არჩევნები და მოიპარეს. საერთოდ აღარ აქვთ ლეგიტიმაცია, ის ლეგიტიმაცია, რომელიც უნდა ჰქონდეს ხელისუფალს.



***– ერთადერთი ნათელი წერტილი იყო წალენჯიხაო, რა მოხდა წალენჯიხაში? თუკი სხვაგან შეძლეს მიტაცება, დაშინება, რატომ არ გამოვიდა იქ?***

– წალენჯიხა არ არის დიდი ქალაქი, ასევე იმდენად დიდი ყურადღება იყო გადატანილი ზუგდიდზე, რომელსაც ძალიან დიდი სხვაობით აგებდნენ პირველ ტურში, რომ სავარაუდოდ გაეპარათ წალენჯიხის შედეგი. „ოცნებას“ დაგეგმილი ჰქონდა, რომ არც ერთი ოლქი არ უნდა დაეთმო ოპოზიციისთვის.

***– გახარიასა და ნაციონალებს შორის შედგა შეთანხმება და წალენჯიხაში ერთმანეთს მოაგებინესო. ასეა?***

– ახლა ყველაფერს ილაპარაკებს „ქართული ოცნება“, მაგრამ ფაქტი არის ის, რომ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ არსად არ მოეგო ოპოზიციას. გაყალბებით, შანტაჟით და მუქარით ეს შეასრულეს, თორემ ბუნებაში არ არსებობს იმხელა პროცენტის წამოწევა, რაც მათ ზუგდიდში გააკეთეს. წარმოუდგენელია, ანზორ მელიას იგივე ხმები აეღო, რაც აიღო პირველ ტურში. ეს ბუნებაში არ არსებობს, არ ჯდება არც ერთ ლოგიკაში.

***– ეუთო-ოდირის შეფასება მოვისმინეთ, თუმც ეს შეფასება არც ისეთი კატასტროფული იყო, როგორც ამას ოპოზიცია ხატავს. იყო პოლარიზება, იყო მუქარა, მაგრამ საბოლოო ჯამში არჩევნები ნორმალურად ჩატარდაო. ამაზე რას იტყვით? ამ ფონზე რამდენად ელოდებით ხალხმრავალ აქციებს და რის იმედი გაქვთ?***

– ჯერ დავიწყოთ იმით, რომ ეუთო-ოდირის დასკვნა და თუნდაც ამერიკის საელჩოს მიერ გამოქვეყნებული წერილი, ასეთი მძაფრი არასდროს არ ყოფილა. მეორეც, ველოდებით ადამიანებს აქციაზე არა იმიტომ, რომ ჩვენ გვინდა, არა იმიტომ, რომ მათი მომავალი წყდება და მათი ხვალინდელი დღე. არჩევნების დამთავრების მეორე დღეს, მაგალითად, საწვავი გაძვირდა 4 თეთრით. რაც გამოიწვევს სხვადასხვა პროდუქტის გაძვირებას. ყოველდღიურად აი ასეთ რეჟიმში ვცხოვრობთ, როდესაც „ქართული ოცნების“ ჩინოვნიკები მდიდრდებიან, ხალხი კი ღატაკდება. სწორედ ამიტომ უნდა გამოვიდეს ხალხი გარეთ, რომ მათ არჩევნები მოპარეს. ვიღაცას მოსწონს დღეს ოპოზიცია თუ არ მოსწონს, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენი თავისუფლებისთვის უნდა ვიბრძოლოთ. ეს მარტივი ნამდვილად არ არის და არც ერთ და ორ დღეში დასამთავრებელი და გადასაგორებელი იქნება ეს პროტესტი.

***– თავდაპირველად ოპოზიციის აქცია 7 ნოემბერს დაანონსდა, ამას დიდი გამოხმაურება მოჰყვა „ოცნების“ და მისი მომხრეების მხრიდან, შემდეგ კი ეს აქცია 6 ნოემბრით შეიცვალა.***

– 7 ნოემბერთან დაკავშირებით კალაძეს ექნებოდა ყველაზე მეტი სათქმელი, იმიტომ, რომ კალაძე იყო ყველაზე დიდი გამპრავებელი, ის იჯდა და ტელევიზიით აპრავებდა, ხოლო იქ გამოსულ ადამიანებს რასაც ეძახდა, ჩემზე კარგად იციან მოქალაქეებმა. მათი ცინიკური დამოკიდებულება ყველამ კარგად იცის, შუაზე ჰყავთ გაყოფილი ქვეყანა, თავისიანებად და სხვისიანებად და ის სხვისიანები უნდათ, რომ დაასრულონ, აი ეს არის მათი მთავარი ამოცანა. თითქმის ერთ მილიონ ადამიანს ეუბნებიან, უნდა დაგასრულოთო. ამიტომ ისინი რას ამბობენ, ეს ნაკლებად საინტერესოა. მათ აღარანაირი ლეგიტიმაცია აღარ გააჩნიათ. ამხელა მობილიზაციის და ასეთი ზეწოლის და გაყალბების შემდეგ, მაქსიმუმ 3%-იანი სხვაობა რომ გაქვს, ეს გამარჯვება არ არის. უბრალოდ მიიწერეს ხმები. „ქართული ოცნება“ ძალიან მალე დასრულდება და მათ მოუწევთ ყველაფერზე პასუხისგება.

***– დიმა, ბოლო დღეებია ვრცელდება ინფორმაცია, რომ 6 ნოემბრის აქციაზე, ღამით ოპოზიცია პროვოკაციას გეგმავს. განიხილება გეგმა, რომ ნაციონალებმა ტოლობის ნიშანი დასვან 2007 წლის 7 ნოემბერსა და 2021 წლის 7 ნოემბერს შორისო. ამაზე რას იტყვით? სწორედ ამიტომ შეირჩა ეს თარიღიო.***

– ანუ ოპოზიციამ უნდა მოაწყოს პროვოკაცია, მაგას იძახიან?!

***– თქვენ მოაწყობთ პროვოკაციას და ხელისუფლება იძულებული გახდება გამოიყვანოს სპეცრაზმი.***

– აი ასეთ სისულელეებს გამუდმებით ავრცელებს „ქართული ოცნება“ 9 წელია, დაახლოებით ათ გადატრიალებაზე აქვთ დაწყებული გამოძიება, რომელსაც ვითომდა ოპოზიცია აწყობს, ოპოზიცია იმას აპირებს, ოპოზიცია ამას აპირებს. ბოლოს აღმოჩნდება, რომ ოპოზიცია კი არ აპირებს, თავად უწყობენ ამბოხს საკუთარ მოქალაქეებს და არ აძლევენ განვითარების საშუალებას. ყველა ასეთი საქმე თაროზე აქვთ შემოდებული და ვერც დამთავრდება, რადგან მსგავსი რამ ბუნებაში არ არსებობს. ჯერ აჯერებდნენ ხალხს, რომ მიხეილ სააკაშვილი ჩამოვა და ნახე რას იზამს, გადაატრიალებს ქვეყანასო, როცა კაცი ჩამოვიდა და რომ იტყვიან, თავის ფეხით მივიდა საპყრობილემდე, ჩაჯდა, 33 დღეა შიმშილობს.

***– თავადვე ახსენეთ სააკაშვილი და რას იტყვით მის შიმშილობასთან დაკავშირებით?***

– ფაქტი არის ის, რომ საზოგადოების დაკვეთა იყო თავგანწირვით ბრძოლა ამ ქვეყნის გადასარჩენად და მე ვთვლი, რომ მიხეილ სააკაშვილმა ეს თავგანწირვა აჩვენა, ჩამოვიდა, ჩაჯდა და დაიწყო შიმშილი, მაშინ როდესაც, უკრაინაში მართლაც სასათბურე პირობები ჰქონდა შექმნილი, რასაც ჰქვია ხელისგულზე ატარებდნენ.

***– თავგანწირვაზე საუბრობთ და ხელისუფლებას და მის მომხრეებს აქვს საპასუხო კითხვა, მაშინ რატომ შემოვიდა ასე მალულად და უკანონოდ? თუკი თავგანწირვა ჰქონდა განზრახული. ასე მალვით რატომ შემოიპარა?***

– ფაქტი არის ის, რომ ადამიანმა ყველაფერი მიატოვა აბსოლუტურად ყველაფერი და აქ ჩამოვიდა. „ოცნება“ რასაც უნდა, იმას იტყვის. გვახსოვს, მთელი დღე როგორ დამაჯერებლად გვიმტკიცებდნენ, სააკაშვილი არ იმყოფება საქართველოში, ის კურდღელია და აქ ჩამოსვლას ვერ გაბედავსო და ვნახეთ ყველამ, რომ ოთხი დღის ჩამოსული იყო და ამ ადამიანმა საარჩევნო კამპანიის ჩატარებაც კი მოასწრო. ტელეფონი რომ არ ჩაერთო, ვერც კი გაიგებდნენ, სააკაშვილი რომ საქართველოში იყო. მთლიანად ჩამოშლილი რომ არის სახელმწიფო, აქედანაც ჩანს. უსაფრთხოების სამსახური გადასულია იმაზე, რომ ჩვენს პირად ცხოვრებას უსმინოს. შესაბამისად, ესენი რას ლაპარაკობენ, ეს არაფერს ნიშნავს. ეს უბრალოდ ცარიელი სიტყვებია ჰაერში გასროლილი.

## სააკაშვილი: „ღმერთი ისე არ მომკლავს, რომ გამარჯვებული ბათუმის ბულვარში თავაწეულმა არ გავიარო“

– ახლა მთავარია, თავისუფლების კვარტლად მთელი საქართველო ვაქციოთ და სადაც თავისუფლებისთვის ვიბრძვით, ყველგან ისინი უნდა გავხსნათ. აქაც, ციხესთან, თავისუფლების კვარტალმა უნდა გამიხსნას დილეგის კარი. ღმერთი ისე ნამდვილად არ მომკლავს, რომ ერთხელ გამარჯვებული ბათუმის ბულვარში თავაწეულმა არ გავიარო.



ამის შესახებ საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გზავნილში წერს, რომელიც გუშინ, 2 ნოემბერს, ბათუმში საპროტესტო აქციაზე გააცნეს საზოგადოებას.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილი არჩევნებზე დიდი უპირატესობით დამარცხდა, რაც მთელმა საქართველომ იცის, მაგრამ მთავარია, ეს ბრძოლა გამარჯვებამდე მიიყვანონ.

„მოგესალმებით გამარჯვებულ ბათუმს, მოგესალმებით კოალიციურ ერთობას. ახლა საქართველოს გადარჩენისთვის ბრძოლაში უკან დასახევი ყველა გზა ჩახერგილია და სამშობლოს გადარჩენას ალტერნატივა არ აქვს, ამიტომ ყველა უნდა გაერთიანდეს. ისინიც კი, ვინც მიმდინარე პროცესებს თვალს გვერდიდან ადევნებდნენ.

თქვენ ივანიშვილი დიდი უპირატესობით უკვე დაამარცხეთ, რაც მთელმა საქართველომ და საერთაშორისო დამკვირვებელმა იცის, ახლა ეს ბრძოლა გამარჯვებამდე უნდა მივიყვანოთ. თავისუფლების კვარტალი თქვენი მოგონილია, ესაა თქვენი თვითმყოფადი, დამოუკიდებელი განწყობის ქალაქი. ახლა მთავარია თავისუფლების კვარტლად მთელი საქართველო ვაქციოთ და სადაც თავისუფლებისთვის ვიბრძვით, ისინი უნდა გავხსნათ. აქაც, ციხესთან, თავისუფლების კვარტალმა უნდა გამიხსნას დილეგის კარი, ღმერთი ისე ნამდვილად არ მომკლავს, რომ ერთხელ გამარჯვებული ბათუმის ბულვარში თავაწეულმა არ გავიარო. დროშა, რომელიც ბათუმში მაღლა ფრიალებს, არასოდეს უნდა დაეშვას“ – დაწერა მიხეილ სააკაშვილმა.

## ირაკლი ღარიბაშვილი: „მადლობას ვუხდი ბორის ჯონსონს და ანტონიო გუტიერეშს გაწეული ძალისხმევისთვის“

– მადლობას ვუხდი ბორის ჯონსონს და ანტონიო გუტიერეშს გაწეული ძალისხმევისთვის, რომლის შედეგად პანდემიის გათვალისწინებით, მსოფლიოს 120-ზე მეტი ლიდერის შეკრება შედგა.



ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ფეისბუქში წერს.

მთავრობის მეთაურის თქმით, კლიმატის ცვლილებები გლობალური გამოწვევაა, რომელთან გამკლავება ერთობლივი ძალისხმევის გარეშე შეუძლებელია:

„მქონდა პატივი, საქართველოს სახელით მონაწილეობა მიმეღო გაეროს კლიმატის ცვლილების 2021 წლის 26-ე კონფერენციის მსოფლიო ლიდერთა სამიტში, რომელიც გლაზგოში გაიმართა.

მადლობას ვუხდი გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრ ბორის ჯონსონს და გაეროს გენერალურ მდივან ანტონიო გუტიერეშს გაწეული ძალისხმევისთვის, რომლის შედეგად, პანდემიის გათვალისწინებით, მსოფლიოს 120-ზე მეტი ლიდერის შეკრება შედგა.

კლიმატის ცვლილებები გლობალური გამოწვევაა, რომელთან გამკლავება ერთობლივი ძალისხმევის გარეშე შეუძლებელია. ჩვენ ვალდებული ვართ, ერთად ვიმოქმედოთ.“

## კარლ ჰარცელი: „ევროკავშირი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, შეასრულოს რეფორმებთან დაკავშირებული ვალდებულებები“

– ევროკავშირის დახმარება კვლავ დამოკიდებული იქნება ძირითადი რეფორმების განხორციელებისას მიღწეულ წინსვლაზე.

ამის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორი წევრის დანიშვნასთან დაკავშირებით საქართველოში ევროკავშირის ელჩის, კარლ ჰარცელის განცხადებაშია ნათქვამი.

განცხადების თანახმად, დანიშვნები იყო ნაჩქარევი, გაუმჭვირვალე და არაკონკურენტული. შესაბამისად, ისინი ეწინააღმდეგება საქართველოს ვალდებულებებს, რომლებიც მიზნად ისახავს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულების, ხარისხისა და ამ სისტემისადმი ნდობის გაზრდას, ევროკავშირი – საქართველოს ასოცირების შეთანხმების შესაბამისად.



ევროკავშირის ელჩის შეფასებით, საქართველოში სასამართლო სისტემისა და კანონის უზენაესობის სფეროში ეს რიგით მეხუთე უკან გადადგმული ნაბიჯია ბოლო 4 თვის განმავლობაში.

„ევროკავშირი კვლავ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, შეასრულოს რეფორმებთან დაკავშირებული ვალდებულებები, მათ შორის მართლმსაჯულების სფეროში საქართველოს მოქალაქეების ინტერესების შესაბამისად და ევროკავშირი – საქართველოს სამომავლო ურთიერთობებისთვის.

ევროკავშირი კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს: მიუხედავად იმისა, რომ ის კვლავ სრულად მზად არის მხარი დაუჭიროს საქართველოს რეფორმებს ევროკავშირი – საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად, ევროკავშირის დახმარება კვლავ დამოკიდებული იქნება ძირითადი რეფორმების განხორციელებისას მიღწეულ წინსვლაზე“ – ნათქვამია ელჩის განცხადებაში.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დავით ზურაბიშვილი: „პრეზიდენტის ადგილზე სააკაშვილს შევიწყალებდი“

## „შარშან მელია რომ არ დაეჭირათ, ოპოზიცია კრახისთვის იყო განწირული“



იაგო ნაცვლიშვილი

**რამდენად გამართლებულია საპარლამენტო მანდატებზე უარის თქმა? რას შეცვლის ქუჩის აქციები? რამდენად მორალურია სააკაშვილის შიმშილობაზე ხელისუფლების წარმომადგენლების შიმშილობა და რა შემთხვევაში გაუშვებენ სააკაშვილს? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი დავით ზურაბიშვილი საუბრობს.**

***— შეიქმნა ვითარება ქვეყანაში, როცა ოპოზიცია ისევ არჩევნების გაყალბებასა და პარლამენტის დატოვებაზე ალაპარაკდა. რამდენად სწორია ეს ამ ვითარებაში? ერთი მხრივ გვესმის, რომ მძიმე ვითარება შექმნა ხელისუფლებამ, მაგრამ გამოსავალია ეს?***

— გააჩნია, რომელი კუთხიდან შევხედავთ და ვის რისი ინტერესი აქვს. თუ ჩვენი ინტერესია ხელისუფლების შეცვლა ნორმალური, დემოკრატიული, კოალიციური ხელისუფლებით, ანუ უკეთესით და თან რომ ამ ხელისუფლების გაშვებაც არ იყოს ისეთი მტკივნეული, მაშინ ეს პრინციპულად არასწორია. ხელისუფლების წელში გადატეხვაზე სწორება პრინციპულად არასწორია. ეს ყველაფერი არის ის, რომ ხელისუფლებაზე ისეთი ზეწოლა მოახდინო, რომ გატეხო, დაანგრიო, ჩამოშალო და ხელში აიღო ძალაუფლება. ეს პოლიტიკა არასწორია.

***— თუმცა, ოპოზიცია თუ ამას მოინდომებს, შეძლებს? ამ რესურსს ხედავთ?***

— ამიტომაც მეორე საკითხია, რამდენად რეალისტურია. თუ შენი პოლიტიკური ძალის ამოცანაა ამ ხელისუფლების შეცვლა უფრო ნორმალური ხელისუფლებით, მაშინ ეს გზა პრინციპულად არასწორია — რომც შეგეძლოს, მაშინაც არ უნდა გააკეთო.

მეორე მომენტია, რომ თუ გვინდა, რომ იყოს პოლარიზაცია და იყოს ერთი პოლუსი მიხეილ სააკაშვილი და მეორე ბიძინა ივანიშვილი, ხოლო ყველა დანარჩენი პარტია მაქსიმალურად მარგინალიზებული და განდევნილი პოლიტიკური ველიდან ან ერთ-ერთი მათგანის სატელიტები, მაშინ სწორია. ასეთ ვითარებაში რაც მეტი ისტერიკა, რადიკალიზმი და ცემა-ტყეპა იქნება, ეს უფრო შენარჩუნდება, თუ ვიღაცამ დღის წესრიგი არ შეცვალა.

***— მეორე მხრივ, ოპოზიციის ქმედებაშიც არის რაღაც ლოგიკა, როდესაც გვეუბნებიან, რომ ვხედავთ არ მიდის არჩევნებით და არ თმობს ამით არაფერსო, მაშინ რა გზა რჩება?***

— არანაირი ლოგიკა ამაში არ არის. ეს არის პოლიტიკური ინფანტილიზმი და ელემენტარული უვიცობა. ხელისუფლება სწორ და სამართლიან არჩევნებს რომ არ ატარებს და აყალბებს მას, ეს არის მოცემულობა. ეს ვიცით წინასწარ. სანამ არჩევნებში მიიღებ მონაწილეობას, ეს იცი. თუ გჯერა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში გააყალბებს ხელისუფლება, მაშინ საშველი არ არის დედამიწის ზურგზე. თუ მიგაჩნია, რომ ამას რაღაცა ზღვარი აქვს, ეს კიდევ სხვა ვითარებაა. თუ ასე გგონია, რომ ხელისუფლება იმას წერს, რაც თვითონ უნდა და არაფერს აზრი არ აქვს, მაშინ რა პოლიტიკურ ცხოვრებას ეწევი, რა აზრი აქვს?! წავიდეთ მაშინ ტყეში.

***— აქ მეც მიჩნდება კითხვა, თუ ამის სჯერათ, მაშინ რატომ იღებენ მონაწილეობას არჩევნებში, მაშინ როდესაც, ისედაც იციან, რომ გაყალბდება?***

— დიახ, გვითხრან მაშინ, რატომ მონაწილეობენ არჩევნებში. დიდი ეჭვი მაქვს, რომ არავის არ სჯერა და იციან, რომ რაღაც ზღვარი აქვს გაყალბებას. კი იძახიან, რომ ლუკაშენკოს რეჟიმია საქართველოშიო, მაგრამ არ არის ეს ლუკაშენკოს რეჟიმი. ცუდი ხელისუფლება გვყავს, მაგრამ ლუკაშენკოს რეჟიმი უარესია. იქ არჩევნები არ ტარდება, უბრალოდ იწერს, რაც უნდა — 90%-ს და არა 46 და 47%-ს.

ამიტომ, თუ იცი წინასწარ და შედიხარ ამ თამაშში, რომ ხელისუფლება რაღაც ზღვრამდე აყალბებს და რაღაც ზღვარს იქით ვერა, მაშინ უნდა მოუგო ამ პირობებით. რა თქმა უნდა, რთულია უთანასწორო ბრძოლაში არჩევნები მოიგო და მაშინ, როცა აყალბებს არჩევნებს.

თავისუფალი რომ ყოფილიყო, რა თქმა უნდა, ხელისუფლებას შეიძლება წაეგო ქუთაისშიც, ზუგდიდშიც, ბათუმშიც და შესაძლოა თბილისში და კიდევ რამდენიმე ადგილას. პროპორციულშიც სხვა შედეგი იქნებოდა, მაგრამ შეხვიდე ამ თამაშში, იმუშავო, იბრძოლო და მაინც იძახო, რომ რა აზრი აქვს, მაინც აყალბებენ, ეს არის პოლიტიკური კვალიფიკაციის დაბალი დონე. თუ ამ გზით მიდიხარ, არ უნდა ილაპარაკო ამაზე. ამით შენ ამომრჩეველს აბნევ, ნიჰილიზმს იწვევ და არ აღძრავ კარგ ემოციებს. სწორი მიზანი უნდა დაისახო და უნდა იყო თანმიმდევრული.

***— ამ არჩევნებმა ისიც ხომ არ აჩვენა, რომ ოპოზიცია ნელი ტემპით, მაგრამ მაინც მიდის წინ? თუნდაც წალენჯიხის მაგალითი რომ ავიღოთ...***

— ოპოზიცია არა, „ნაცმოძრაობა“. მოდი, ვთქვათ ასე, რომ „ნაცმოძრაობა“ მიდის წინ. ოპოზიციური განწყობების 90% კაპიტალიზებულია „ნაცმოძრაობაში“. ერთადერთი გამონაკლისია გახარიას პარტია, რომელიც ახალია და ვნახოთ, რას იზამს. დანარჩენები ან არაფერს აკეთებენ — „ნაცმოძრაობას, სააკაშვილისა და ნიკა მელიას კეთილ ნებაზე არიან დამოკიდებულები.

კი, ოპოზიციური განწყობები მატულობს, თუ არ შეიცვალა ადრე თუ გვიან. შესაძლოა 2024-შიც მოხდეს ხელისუფლების შეცვლა, თუმცა „ნაცმოძრაობამ“ დესტრუქციულად იმუშავა, შესაძლოა კიდევ უფრო გაიჭიმოს ეს ამბავი, მაგრამ საბოლოო ჯამში, „ნაცმოძრაობა“ შეცვლის ამ ხელისუფლებას და გაგრძელდება ავტორიტარული რეჟიმი ერთის მეორე ძალით შეცვლით.

***— ქუჩის გზას როგორ უყურებთ?***

— აქციები არის პოლიტიკური პროცესის განუყოფელი ნაწილი. უბრალოდ, მას აქვს თავისი დანიშნულება და ადგილი. ქუჩაში აქციების მეშვეობით ხელისუფლება არ იცვლება თუ არ არის ორი პირობა. ერთი, ეს არის, რომ ხელისუფლება შიგნიდან უნდა ჩამოიშალოს. ამ შემთხვევაში ქუჩის აქციებს აქვს დიდი მნიშვნელობა და მეორეა ის, რომ იყოს დასავლეთის მხარდაჭერა, ეს კიდევ არის მთავარი ფაქტორი და არა მარტო აქციების დროს, არამედ ზოგადად პოლიტიკური პროცესის დროს. მაგრამ, როცა დასავლეთის მხარდაჭერა არ არის და ხელისუფლება შიგნითაც არ არის ჩამოქცეული და ძალოვან სტრუქტურებს აკონტროლებს, მაშინ ქუჩით და რევოლუციით ვერ შეცვლი ხელისუფლებას, თუნდაც 200.000 ადამიანი გამოიყვანო.

***— დამიხსენით ციხიდან და 20 დღეში დავასრულებ ამ ხელისუფლებასო, თქვა სააკაშვილმა.***

— როგორ უნდა გამოიყვანონ, საინტერესოა. მე რომ ხელისუფლების, უფრო სწორად, პრეზიდენტის ადგილას რომ ვიყო, სააკაშვილი კარგა ხნის შეწყალებული მეყოლებოდა და ვნახავდი, რას დაასრულებდა 2-3 კვირაში. სააკაშვილი ვერც ორ კვირაში ვერ დაასრულებს „ოცნებას“ და ვერც 2 წელიწადში.

***— ხელისუფლება რატომ მიდის ასეთი გაჯიუტების გზით სააკაშვილთან მიმართებით?***

— ხელისუფლება კიდევ უფრო არაკვალიფიციურია, ვიდრე ნაცმოძრაობა. უბრალოდ, ხელისუფლებას უმართლებს, რომ ხალხში კიდევ არის ნეგატიური განწყობა ენმ-ს მიმართ. ყოფნის, რომ ადმინისტრაციული რესურსებით, გაყალბებით და რამდენიმე პროცენტით მოიგოს, მაგრამ მოვა დრო და აღარ ეყოფა, არცთუ ისე შორსაა ეს დრო.

***— პოლიტიკას რომ შევეშვათ, რამდენად მორალურ ჩარჩოებში ჯდება ის განცხადებები, რასაც ვისმენთ ხელისუფლებისგან? მდინარაძემ გვითხრა, 40 დღე ძლებს ადამიანი მშიერი და ველოდებით 41-ე დღესო. რას ნიშნავს ეს?***

— რაზე ვლაპარაკობთ საერთოდ?! არანაირ ეთიკასა და კულტურაში არ ჯდება. კითხვა რომ არის, რა ხალხია, სად გაიზარდნენო, ისეა ზუსტად. ელემენტარული რაღაცები ეშლებათ, პოლიტიკის მიღმაა ეს. სულ არ მინდა სააკაშვილის პოლიტიკაში დაბრუნება, მაგრამ ასე არა... როგორ შეიძლება შიმშილობას მასხრად იგდებდე?! ამათი ცხოვრების აზრი არის სააკაშვილთან ბრძოლა. სხვა არავითარი იდეა არ აქვთ, სხვა აქვთ თანამდებობაზე ყოფნა და ფულის კეთება, მაგრამ ეს იდეა არ არის. მათი ერთადერთი იდეის მაგვარია, რომ ებრძვიან სააკაშვილს და ნაცებს და რომ არ იყვნენ სააკაშვილი და ნაცები, გამოიგონებდნენ.

***— ოპოზიცია მაინც გადის ქუჩაში, თქვენი პროგნოზი როგორია, იქნება ისეთივე კრიზისი, როგორიც გასულ წელს გვქონდა?***

— არა მგონია, რომ დასავლეთმა თავი გამოიდოს, თუკი რაღაც საოცრებებს არ ჩაატარებენ კიდევ. შარშან კრიზისული ამბავი დასავლეთის ზეწოლას მოყვა. მელია რომ არ დაეჭირათ, არაფერი იქნებოდა და ოპოზიცია კრახისთვის იყო განწირული. მგონია, რომ ახლაც აქეთ წავა ვითარება. ნაცმოძრაობის და მასთან ასოცირებულების ენთუზიაზმი გაილევა. შედეგს არ გამოიღებს ეს და სააკაშვილს არსად არ გაუშვებენ ამ პროტესტის ფონზე. არც იმის მჯერა, რომ კლავენ. გაუფრთხილდებიან ყველანაირად.

***— თუ იშიმშილებს და არაფერს შეჭამს, ბუნებრივად დადგება ეს ვითარება.***

— გააჩნია. შესაძლებელია, ისეთი სამედიცინო დახმარება გაუწიო, რომ ხელოვნურ კვებაზე გადაიყვანო და ასე აცოცხლო ადამიანი. თანამედროვე მედიცინისთვის ეს არ არის პრობლემა. თუ ამას არ გააკეთებს ხელისუფლება, მაშინ ეს იქნება მკვლელობა.

სააკაშვილი თუ დაინახავს, რომ მის შიმშილობას აზრი არ აქვს და ვერ ახდენს გავლენას, ალბათ შეწყვეტს. მართლა თავი ხომ არ აქვს გადადებული მოსაკლავად?! ეს სჭირდება იმისთვის, რომ რაღაც სტიმული მისცეს თავის მომხრეებს. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია. ჯერჯერობით არ მოაქვს ის შედეგები, რაც მისთვის სასურველია.

თუ სააკაშვილის გასათავისუფლებლად სხვა ბერკეტები იქნება გამოყენებული — დასავლეთის ჩარევა და უკრაინისთვის გადაცემის შესაძლებლობები, ეს უფრო რეალურია. პროტესტის შედეგად სააკაშვილს არავითარ შემთხვევაში არ გაუშვებენ.

# „ქართული ოცნება“ ცდილობს, რომ ერთპარტიული პარლამენტი მიიღოს“

## ლევან ალაფიშვილი: „ხან ნაციონალები იქნებიან ხელისუფლებაში, ხან — „ოცნება“. ასე ჩაენაცვლებიან ერთმანეთს, ხან ოპოზიციაში და ხან ხელისუფლებაში“



**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადებას გამოეხმაურა, რომელიც საკონსტიტუციო ცვლილებებს ეხება.**

ნათია ხურცილავა

***— ბატონო ლევან, კობახიძემ განაცხადა, რომ არავითარი ვალდებულება არ გვაქვს საკონსტიტუციო ცვლილებები მივიღოთ. საზოგადოებამ იცის, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც უზრუნველყოფს 3% ბარიერსა და სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას, პოლიტიკური შეთანხმების ნაწილია. შეიძლება „ოცნების“ მხრიდან ეს შეთანხმება უგულებელყოფილი იყოს?***

— ირაკლი კობახიძის ეს განცხადება ჩემთვის მოულოდნელი არ იყო. მით უფრო, როდესაც ოფიციალურად განაცხადეს, რომ მიშელის შეთანხმებიდან გავიდნენ.

დამაფიქრებელია განცხადების გაკეთების დრო: ადგილობრივი არჩევნების შემდეგ განვითარებული პროცესების კვალდაკვალ, როდესაც ნაციონალური მოძრაობის წევრებმა განაცხადეს, რომ სადეპუტატო მანდატებს ტოვებენ.

ჩვენ ვიცით, რომ კონსტიტუციური ცვლილებებისთვის საჭირო ხმები „ქართულ ოცნებას“ არ აქვს. ამისთვის მას ოპოზიციის დახმარება სჭირდება. გამოდის, რომ ხელისუფლება ნაციონალურ მოძრაობას მწვანე შუქს უნთებს ბოიკოტისთვის. ასევე ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ დემოკრატია მნიშვნელოვნად დაზარალდება თუკი გაფორმებულად ერთპარტიული პარლამენტი გვეყოლება. მართალია „ქართული ოცნებას“ აქვს გამოცდილება, შერჩევით, ვისაც უნდა მას შეუწყვიტოს სადეპუტატო უფლებამოსილება და ვისაც არა, არ შეუწყვიტოს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მერწმუნეთ, ქვეყანაში დემოკრატიული პროცესი მნიშვნელოვნად დაზარალდება. მივიღებთ ძალიან შემცირებული ლეგიტიმაციის მქონე პარლამენტს.

***— მიხეილ სააკაშვილმა შეცვალა პოზიცია მანდატების დატოვებასთან დაკავშირებით. ის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანს უწოდებს საკონსტიტუციო ცვლილებებს და ამიტომ სთხოვა ოპოზიციას პარლამენტის მანდატების შენარჩუნება. შეიძლება სააკაშვილის ამ განცხადებამ დააფიქრა „ოცნება“?***

— არ გამოვრიცხავ, რომ სწორედ ნაციონალური მოძრაობის გადაწყვეტილება აღმოჩნდა მაპროვოცირებელი კობახიძის იმ განცხადებისა, რომელიც გააკეთა.

***— თუმცა, თუ საკონსტიტუციო ცვლილებებზე უარს ამბობენ, მაშინ შეიძლება ოპოზიციამ თქვას, რა გვინდა პარლამენტში და მანდატები დატოვონ და ამით ხომ თვითონ შეუწყობენ ხელს ერთპარტიულ პარლამენტს?***

— რეალურად ვხედავთ, რომ „ქართული ოცნება“ ზუსტად იქითკენ მიდის, რომ ერთპარტიული პარლამენტი მიიღოს. მეტიც, ის ეხმარება ნაციონალურ მოძრაობას ამ გადაწყვეტილებაში, რომ მათ საკუთარი ნებით დატოვონ პარლამენტი და ამით ხელი შეუწყოს პროცესების ქუჩაში გადატანას.

***— და ეს რაში აწყობთ? მათ ნაციონალური მოძრაობა, როგორც ოპონენტი, პარლამენტში არ ურჩევნიათ?***

— „ქართული ოცნება“ პოლიტიკურად სულდგმულობს ნაციონალური მოძრაობით. იმ რიტორიკით, რომელიც დღემდე აქვთ, რომ ისინი ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობის დასასრულებლად არიან.

რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს, რაში აწყობთ ნაციონალური მოძრაობა ქუჩაში? „ოცნება“ ნაციონალების სრულ მარგინალიზებას მოახდენს თუ აიძულებს ქუჩაში გადაიტანონ პროცესები. ამ გზით კი ძალიან მარტივად შეეცდება თავის მართლებას საერთაშორისო საზოგადოებასთან, რომ ის არაფერ შუაში არის, რომ ოპოზიციაა დესტრუქციული, რომ ოპოზიციამ აირჩია ქუჩის გზა და არა პარლამენტში კონსტრუქციული ოპონირების გზა.

არ გამოვრიცხავ, რომ ეს იყოს „ქართული ოცნების“ მიზანი, რომ 2024 წელსაც შეეცადოს ისევ ამ ტალღაზე მოუგოს ნაციონალურ მოძრაობას და შეინარჩუნოს ძალაუფლება. ჩააგდოს რა კონსტიტუციური ცვლილება და, შესაბამისად, მხოლოდ თვითონ და ნაციონალური მოძრაობა შევიდნენ პარლამენტში.

***— შეიძლება ეს იყოს კიდეც გრძელვადიანი გათვლა, მაგრამ რამდენად არის სარისკო?***

— თუ კონსტიტუციური ცვლილებები ჩავარდება და 3% ბარიერი არ იქნება მიღებული, ვინ გადალახავს დღეს არსებულ 5%-იან ბარიერს?! ხუთპროცენტიანი ბარიერით მხოლოდ „ოცნება“ ინარჩუნებს პერსპექტივასა და რაოდენ პარადოქსულადაც არ ჟღერდეს, ამ შანსს აძლევს ნაციონალურ მოძრაობას. მეტიც, ხელს უწყობს გაძლიერებაში, ახალი სუბიექტების შერწყმა მოხდება ნაციონალურ მოძრაობასთან.

***— მაღალი საარჩევნო ბარიერი, ამ შემთხვევაში ხუთპროცენტიანი ბარიერი, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ხელს შეუწყობს პატარა პარტიების გაქრობას?***

— დიახ, რასაკვირველია. ამ შემთხვევაში ორი გზა რჩება: ან რევოლუციური სცენარი და ვადამდელი არჩევნები, ან ისევ იგივე მოცემულობა — პოლიტიკურ ავანსცენაზე იყვნენ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა.

„ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს“ — თუ გახსოვთ, ასეთი სლოგანი ჰქონდა ერთ-ერთ წარმატებულ ბანკს, არცთუ ისე შორეულ წარსულში. შეგვიძლია ეს სლოგანი დიდი წარმატებით გადმოვიტანოთ ქართულ პოლიტიკაში და ამ ორ პოლიტიკურ ძალას მივუსადაგოთ. ხან ერთი იქნება ხელისუფლებაში და ხან — მეორე. ასე ჩაენაცვლებიან ერთმანეთს ხან ოპოზიციაში და ხან ხელისუფლებაში.

# „ოცნება“ და ნაცმოძრაობა ერთმანეთშია აღრეული

## მამუკა გიორგაძე: „საზოგადოებაში პოლიტიკურ ფსიქოზს 30 წელიწადია აღვივებენ“

მარიამ მჭედლიშვილი

**ქვეყანაში მუნიციპალური არჩევნების მეორე ტურის შემდეგ შექმნილ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა სახალხო პარტიის ლიდერს, მამუკა გიორგაძეს.**



***– ადგილობრივი არჩევნების მეორე ტურს როგორ აფასებთ? გამოიკვეთა თუ არა 30 ოქტომბერს რაიმე ახალი ტენდენცია?***

– არაფერი ახალი არ მომხდარა. გამოყენებულ იქნა გაყალბების ძველი, ნაცადი მეთოდები. ამასთან, „ქართულმა ოცნებამ“ ძლივს დადო თავისი შედეგი. დარღვევებზე ბევრი ითქვა. მათ შორის, ოდირის (ეუთო), სხვადასხვა პარტნიორი სახელმწიფოს საელჩოების წარმომადგენლების მხრიდან. კიდევ ერთხელ ვიხილეთ ძალაუფლების უზურპაცია. ამჯერად ეს გაკეთდა უფრო თავხედურად.

***– კერძოდ?***

– გაიხსენეთ, რა განცხადებები კეთდებოდა! თითქოს ისინი მიმართული იყო ოპონენტისადმი, სინამდვილეში, ჩვენ, საზოგადოებას გვეუბნებოდნენ, რომ „გვაჩმორებენ“.

***– ციფრები (თუნდაც, გაყალბებული) რას გეუბნებათ? ნაციონალური მოძრაობის მხარდაჭერა გაზრდილია.***

– ესეც არ არის გასაკვირი იმ პოლიტიკურ თამაშში, რომელიც დიდი ხანია მიმდინარეობს. რამდენიმე წლის წინ „ოცნების“ და დემოკრატიის მთავარ ამოცანად სახელდებოდა ნაციონალური მოძრაობის გადარჩენა. „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა იქცნენ ერთმანეთის მუდმივ სპარინგ-პარტნიორებად. ნაციონალურ მოძრაობას მიეცა სასათბურე პირობები. ნაციონალური მოძრაობა გახდა ერთადერთი, განუმეორებელი, მთავარი, ყველაზე ძლიერი ოპოზიცია. თანაც, ის ოპოზიცია, რომელსაც დევნიან და ჩაგრავენ. ბუნებრივია, ეს მოიტანდა თავის ნაყოფს და ციფრებზეც აისახებოდა. მეორე ტურში 20 ქალაქიდან და მუნიციპალიტეტიდან „ოცნების“ წარმომადგენლების კონკურენტი იყვნენ ნაცმოძრაობის კანდიდატები. იზრდებოდა პოლარიზაცია. ამ პოლარიზაციისა და ორპოლუსიანობის ფონზე ისევ ზარალდებოდნენ ჯანსაღი პარტიები და წესიერი, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკოსები. ახლა „ქართული ოცნებაც“ და ნაცმოძრაობაც კმაყოფილი არიან შედეგით.

***– სხვა პარტიების დაჩაგვრა, ალბათ, პირველ ტურს და ზოგადად პროცესებს ეხება?***

– რასაკვირველია. თუ ადამიანს, ვთქვათ, მოსწონს სახალხო პარტია ან სხვა რომელიმე ძალა, მას არჩევანს არ უტოვებენ.

***– თუ ადამიანისთვის მისაღები და მოსაწონია სხვა პარტია, ამ ორიდან ერთს რატომ უნდა მისცეს ხმა?***

– იმიტომ, რომ ადამიანებს ამყოფებენ ფსიქოზში. ეუბნებიან, რომ მიდის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. „ოცნების“ ამომრჩეველს ჩააგონებენ, რომ „ოცნებაა“ ბოროტების შემაკავებელი. ნაცმოძრაობის ამომრჩეველს უმეორებენ, რომ ქვეყნის დანგრევისგან ხალხს ნაცმოძრაობა იხსნის. ამ ორ ძალას ყველაზე ძლიერებად გვასაღებენ. ეს ახლა არ დაწყებულა. საზოგადოებაში პოლიტიკურ ფსიქოზს 30 წელიწადია აღვივებენ. მოქალაქეთა კავშირის პირისპირ დააყენეს „აღორძინება“. შემდეგ მოქალაქეთა კავშირის მტერი გახდა ნაციონალური მოძრაობა, რომლის ლიდერები მოქკავშირიდან გამოვიდნენ. დღეს რა ხდება? „ოცნება“ და ნაცმოძრაობა ერთმანეთშია აღრეული.

***– გულისხმობთ იმას, რომ ყოფილი ნაციონალები არიან „ოცნებაში“?***

– დააკვირდით პოლიტიკურ შოუებს. ერთ მხარეს (ოპოზიციის მხარეს) სხედან ნაცმოძრაობის წევრები, ასევე პირები, რომლებიც ახლახან გამოვიდნენ „ოცნებიდან“. „ქართულ ოცნებას“ ძალიან ხშირად წარმოადგენენ ყოფილი ნაციონალები. ყველაზე აგრესიული ქოცები სწორედ ყოფილი ნაცები არიან. სპარინგ-პარტნიორებს შორის საქმეები ირჩევა. რადიკალიზაცია არ წყდება. ეს რადიკალიზაცია, ფსიქოზი გადადის სხვა სფეროებზე, მოქმედებს საზოგადოების განწყობაზე, ზრდის კონფლიქტების რაოდენობას, დანაშაულს, თვითმკვლელობებს, ოჯახურ დრამებს. რადიკალიზმი, შეურიგებლობა იგრძნობა ყველაფერში. ამიტომაა, რომ 12-13 წლის გოგონები ჩხუბობენ, მოზარდები იარაღს ატრიალებენ. მოქკავშირს ჰქონდა სიმღერა, სადაც იყო ასეთი სიტყვები – „ღმერთო, განსხიპე ტოტები მავნე“. ის, რაც დღეს პოლიტიკაში ხდება და შემდეგ ყველაფერზე აისახება, ამ აგრესიული აზრის გაგრძელებაა. ვინც პოლიტიკის სამზარეულო ვიცით, ვაცხადებთ, რომ ეს ორპოლუსიანობაც სპექტაკლია. ორივე ძალა ერთი ცენტრიდან იმართება და ფინანსდება. ახლანდელ პოლიტიკურ „ელიტას“ არ ექმნება დისკომფორტი იმით, რომ ხან ერთ პარტიაშია და ხან – მეორეში, ხან სააკაშვილს ალმერთებს და ხან – ივანიშვილს. მთავარია, ამ წრეში იტრიალოს. დღევანდელი „პოლიტელიტა“ ერთი წრეა.

***– გრძელდება და ანონსდება ნაცმოძრაობის მიტინგები და სხვა სახის საპროტესტო აქციები. ამას რა მიზანი აქვს?***

– საპროტესტო მოძრაობა საჭიროა იმისათვის, კმაყოფილება დაიმალოს და ხელი შეეშალოს დამოუკიდებელ პოლიტიკურ მოთამაშეებს. ქაოსი უნდა გაგრძელდეს, საზოგადოება მუდმივად დაძაბული უნდა იყოს და იფიქროს „ოცნებასა“ და ნაცებზე. თუ ვინმეა წესიერი და დამოუკიდებელი, თუ ვინმეს კარგი იდეები აქვს, ის უნდა ჩააჩოჩონ. ამ ფსიქოზში ადამიანი არც სხვისკენ გაიხედავს და არც სერიოზულ პრობლემებზე დაფიქრდება. ქაოსში მყოფი ადამიანი არ ჩაფიქრდება, რა პროცესები და სპექტაკლები გრძელდება ქვეყნის შიგნით, რა ხდება შავ ზღვაზე, სამხრეთ კავკასიაში, რუსეთსა და თურქეთს შორის და ა. შ. საზოგადოებას სახელმწიფოებრივი საკითხების განხილვის მაგივრად სთავაზობენ მუდმივ პოლარიზაციას და აგრესიას, იმას, უნდა შევიდნენ თუ გამოვიდნენ პარლამენტიდან.

***– ამ მომენტისთვის ისევ პარლამენტიდან ოპოზიციის გამოსვლა გახდა აქტუალური. სააკაშვილიც მოუწოდებს ოპოზიციას, მიბაძოს მამუკა ხაზარაძეს.***

– იმის მაგივრად, რომ პარლამენტს თავისი ნამდვილი ფუნქცია დაუბრუნონ, მანდატებს ტოვებენ. პარლამენტი ისედაც მარტო ლანძღვა-გინების არენად ჰქონდათ გადაქცეული. ადრე, სხვა ეპოქაში, ყველა ლაპარაკობდა ლენინის თეზისებზე. თანამედროვე საქართველოში სალაპარაკო გახდა ის, თუ რა თეზისებს აგზავნის მიშა რუსთავიდან. ყველაზე ამაზრზენი მმართველი პარტიის ცინიკური განცხადებები და მუქარებია. ამ მუქარებს და ცინიკურ განცხადებებს ყველას, მთელ საზოგადოებას გვაგონებენ. ისინი ნათქვამია ყველა იმ ადამიანის გასაგონად, ვინც დღევანდელ ხელისუფლებას აკრიტიკებს. სამწუხაროა, რომ ამ არეულობაში უკანა პლანზე გადადის ისეთი მაღალი კატეგორია, როგორიცაა ერი. ერი აერთიანებს წარსულს, თანამედროვეობას და მომავალს. მხოლოდ ერმა შეიძლება მიიღოს წარსულზე დაფუძნებული მომავალზე ორიენტირებული გადაწყვეტილებები. დღეს ჩვენ ერად ვერ ჩავითვლებით. ერი იღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც შეესაბამება ქვეყნის ინტერესებს. უბედურებაა, რომ ნაცქოცური სპექტაკლების შემხედვარე ადამიანები ვერ ხედავენ თავის ადგილს ამ ქვეყანაში, ვარდებიან ნიჰილიზმში. გაქცევაზე თვალი ძალიან ბევრს უჭირავს. საგანგაშოა, რომ ახალგაზრდების უმრავლესობა არაფრად აგდებს დამოუკიდებლობის, სახელმწიფოს ცნებებს.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველოს მთავრობას შემუშავებული აქვს განვითარების გეგმა 2030 წლისთვის, რომელიც შეესატყვისება გაეროს დღის წესრიგს“




– ულამაზესი მთების, მყინვარწვერებისა და მდინარეების მქონე კავკასიამ მყინვარების 40% უკვე დაკარგა, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, დანაკარგების ტემპი აღმოსავლეთ საქართველოში მე-20 საუკუნის ბოლოს გაკეთებულ პროგნოზს გასცდა, სრულად ვიზიარებთ იმ განგაშს, რომელიც კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორის საბჭოზე წარმოდგენილ უახლეს ანგარიშშია ასახული.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, გაერო-ს 2021 წლის კლიმატის ცვლილების კონფერენციის ფარგლებში, მსოფლიო ლიდერების სამიტზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

– ნება მომეცით, გულწრფელი პატივისცემა გამოვხატო გაერთიანებული სამეფოსადმი იმ თავდადებული შრომისთვის, რომლითაც ყველანი შეგვკრიბა და ეს სამიტი რეალობად აქცია ახალი კორონავირუსით გამოწვეული პანდემიიდან მომდინარე გამოწვევების ფონზე. თქვენო აღმატებულებავ, ყველასთვის ცნობილია, რომ ჩვენი საარსებო გარემო ცვალებადია.

ულამაზესი მთების, მყინვარწვერებისა და მდინარეების მქონე კავკასიამ მყინვარების 40 პროცენტი უკვე დაკარგა. მხოლოდ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, დანაკარგების ტემპი აღმოსავლეთ საქართველოში მეოცე საუკუნის ბოლოს გაკეთებულ პროგნოზს გასცდა.

ჩვენ სრულად ვიზიარებთ იმ განგაშს, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი საბჭოს წარმოდგენილ უახლეს ანგარიშშია ასახული როგორც „კაცობრიობის საგანგაშო, გარდაუვალი საფრთხე“.

საქართველოს მთავრობის მეთაურის თქმით, ინვესტიციები სუფთა ენერგიაში, კლიმატზე მორგებული სოფლის მეურნეობა და მეტად ადაპტირებული შესაძლებლობები ის კონკრეტული ნაბიჯებია, რაც შეამცირებს ემისიას და ჩვენს საზოგადოებებს მოამზადებს კლიმატის ცვლილების გარდაუვალი გავლენისთვის.

– ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ გაეროს გენერალური მდივნის ძირითადი რჩევები, რათა ჩვენი პლანეტა დედამიწა დავიცვათ და ჩვენს საერთო დღის წესრიგად ვაქციოთ ეს მიზანი.

ამ სულისკვეთებით, საქართველო 2030 წლისთვის კისრულობს ვალდებულებას, 1990 წლის დონესთან მიმართებით სასათბურე აირების ემისიის ნახევარზე მეტით შემცირებაზე, კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტირებული შესაძლებლობის გაცნობიერების გაღრმავებაზე საერთაშორისო პარტნიორების საშუალებით. საქართველოს მთავრობას მკაფიო და ნათელი ხედვით აქვს შემუშავებული განვითარების გეგმა 2030 წლისთვის, რომელიც იდეალურად შეესატყვისება გაეროს მდგრადი განვითარების დღის წესრიგს 2030 წლისთვის.

თავის მხრივ, საქართველო დასახულ მიზანს მიაღწევს განახლებადი ენერგიის სექტორში დივერსიფიკაციით, ქარისა და მზის ენერგიის წილის გაზრდით საერთო ენერგეტიკულ ბაზარზე; ქვეყნის ურბანული მობილობის ტრანსფორმაციით; დაბალნახშირბადიანი მიდგომების დანერგვით მშენებლობის, მრეწველობისა და ნარჩენების მართვის სფეროებში; კლიმატზე მორგებული ტექნოლოგიებისა და სერვისების განვითარებით; საქართველოს დიდებული ტყეების მიერ ნახშირბადის დაჭერის უნარის გაზრდით.

რა თქმა უნდა, აქ იმიტომ ვიმყოფებით, რომ არც ერთ ჩვენგანს შეგვწევს ამ გამოწვევებთან გამკლავების უნარი ცალკეულად. მთავრობების, ინდუსტრიების, აკადემიური წრეების, დარგის პროფესიონალთა, ტექნიკურ ექსპერტთა და დაინტერესებულ წრეთა ლიდერები ნებისმიერი ქვეყნის და რეგიონის ყველა თემში ერთობლივად უნდა ვმოქმედებდეთ კლიმატის კრიზისის გადასაჭრელად და ამისათვის დაბალნახშირბადიანი და მედეგი ეკონომიკური პოზიციები უნდა ჩამოყალიბდეს, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, საქართველოს სურს კონვენციის ფარგლებში ყველაზე ფართომასშტაბიანი თანამშრომლობის რეალიზების შესაძლებლობა ჰქონდეს, როგორც მის პრეამბულაშია გაწერილი და ამგვარად მოახდინოს რეაგირება ამ უნიკალურად გლობალურ გამოწვევაზე.

– ეს სამიტი კრიტიკული მნიშვნელობისაა ჩვენი ეროვნული და რეგიონული ინტერესებისთვის.

ყველა ქვეყნის თანაბარი გეოგრაფიული წარმომადგენლობა, სუვერენული თანასწორობა და ღირსება გაერთიანებული ერების ძირეული, ფუნდამენტური პრინციპებია.

საქართველოს სურს კონვენციის ფარგლებში ყველაზე ფართომასშტაბიანი თანამშრომლობის რეალიზების შესაძლებლობა ჰქონდეს, როგორც მის პრეამბულაშია გაწერილი და ამგვარად მოახდინოს რეაგირება ამ უნიკალურად გლობალურ გამოწვევაზე.

საქართველო მადლობას უხდის სამიტის პრეზიდენტ ქვეყანას და ყველა ჩართულ მხარეს თანაგრძნობის სულისკვეთებისთვის და წინსვლის სურვილისთვის, რათა სამიტის დღის წესრიგით შემოთავაზებული წინადადებები შესრულდეს, მათ შორის თანაბარი გეოგრაფიული წარმომადგენლობის საკითხის დაკმაყოფილებით, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.



# აშშ-ის მოქალაქე რუსთაველზე პოლიციას ცემაში ადანაშაულებს

ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე სამართალდამცველებს ცემაში ადანაშაულებს.

პაატა აბჟანდაძე პოლიციამ 1 ნოემბერს რუსთაველის გამზირზე სააკაშვილის მხარდამჭერ აქციაზე დააკავა. აბჟანდაძე ირწმუნება, რომ დაკავების დროს პოლიციამ მას ფიზიკური დაზიანებები მიაყენა. დაკავებული თავდაპირველად კლინიკაში მოათავსეს, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შემდეგ კი ის წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს.

უფლებადამცველის ინფორმაციით, პაატა აბჟანდაძე ის ემიგრანტია, რომელიც აშშ-დან მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით საქართველოში საგანგებოდ ჩამოვიდა. ის სათავეში საინიციატივო ჯგუფს ჩაუდგა და პარლამენტის წინ კარვების გაშლას აპირებდა, როდესაც პოლიციამ დააკავა.

– არ მოგვეცა საშუალება დაკავებულ პირთა ადვოკატის კონტაქტის. რა მოტივაცია გააჩნდა პოლიციას, რომ საადვოკატო მომსახურების უფლება მე დამერღვა და მას კიდევ დაცვის უფლება დაერღვა. ამ ადამიანებს არაფერი დაუშავებიათ და უცბად არა მარტო დაკავებულები აღმოჩნდნენ, არამედ სხეულის სერიოზული დაზიანებები აღმოაჩნდათ, მაგალითად, როდესაც გამოჰყავდათ საავადმყოფოდან და კიდევ არ მოგვეცა კონტაქტის საშუალება, შევხედოთ, რომ თაბაშირში ჰქონდა ხელი ჩასმული, – განაცხადა ადვოკატმა ვალერი გელბახიანმა.

აბჟანდაძესთან ერთად პოლიციამ კიდევ ერთი პირი დააკავა.

მათ გამოძიება პოლიციისადმი დაუმორჩილებლობას ედავება.

# თამაზ გორთამაშვილის მკვლელობაში ბრალდებული მერაბ კობიაშვილის საქმეს ნაფიცი მსაჯულები განიხილავენ

გუდაურში მომხდარი მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის საქმეზე ბრალდებულ მერაბ კობიაშვილის საქმეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განიხილავს.

გუშინ, 2 ნოემბერს, გორის რაიონულ სასამართლოში სასამართლო პროცესი გაიმართა. მასზე ბრალდების მხარის მოწმეები დაკითხეს. კერძოდ, ჩვენება გარდაცვლილის მეგობრებმა და კონფლიქტში მონაწილე პირებმა მისცეს.

შეგახსენებთ, რომ 2020 წლის 16 თებერვალს, გუდაურში ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს, ერთი კი დაჭრეს. აღნიშნულთან დაკავშირებით, სამართალდამცავებმა მერაბ კობიაშვილი დააკავეს. კობიაშვილს ბრალი მკვლელობის, მკვლელობის მცდელობისა და ძალადობისთვის აქვს წარდგენილი.

ამასთან, პროკურატურამ მერაბ კობიაშვილის მიმართ ჯგუფურად განხორციელებული ძალადობის ფაქტზე ბრალი 6 პირს წარუდგინა და მათი საქმე ცალკე წარმოებად გამოიყო.

მერაბ კობიაშვილი აღკვეთის ღონისძიების გარეშეა დატოვებული.

საქმის პროკურორის, დავით ყაზარაშვილის, განცხადებით, კონფლიქტი სწორედ კობიაშვილმა დაიწყო. პროკურორის განმარტებით, ბრალდებული აუცილებელი მოგერიების ფარგლებში არ მოქმედებდა და ეს იყო განზრახ მკვლელობა.

– ბრალდების მხარემ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოვახსენეთ ყველა ის გარემოება, რაც 2020 წლის 16 თებერვალს მოხდა გუდაურში. კერძოდ ის, რომ კონფლიქტი მერაბ კობიაშვილმა დაიწყო, ის სასტიკად გაუსწორდა ჯერ 18 წლის ახალგაზრდას, შემდეგ მის მიმართაც იყო ანგარიშსწორება. მერაბ კობიაშვილმა ასევე განზრახ მოკლა 28 წლის ახალგაზრდა, ერთი ახალგაზრდა ასევე სასიკვდილოდ გაიმეტა.

რაც შეეხება ბრალდების მხარის მტკიცებულებებს, სასამართლოში წარვადგენთ როგორც ვიდეომასალას, ასევე მოწმეს, რომელიც ფაქტის შემსწრეა, რითაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დარწმუნდება, რომ მერაბ კობიაშვილის მიერ არის ჩადენილი ის დანაშაულები, რაშიც ბრალი ედება.

სხდომაზე დაცვის მხარემ ბევრი ისაუბრა მოგერიებაზე, ერთადერთი, რაზეც ისინი უთითებენ, ფეხის მიმართულებით გასროლილი ტყვიაა, თუმცა, არანაირ აუცილებელ მოგერიებას ადგილი არ ჰქონია, პირიქით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დავარწმუნებთ იმაში, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლებში იყვნენ თამაზ გორთამაშვილი და დავით სეთურიძე, – განაცხადა ყაზარაშვილმა.

მერაბ კობიაშვილის თქმით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ გამამართლებელი ვერდიქტი უნდა გამოიტანოს. აღნიშნულის შესახებ მერაბ კობიაშვილმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა.

როგორც ბრალდებული აღნიშნავს, მისი უდანაშაულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმეში მოიპოვება.

– ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ნაფიცი მსაჯულები სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებენ. მხოლოდ და მხოლოდ ამას ველოდები. მტკიცებულებები, ვიდეოჩანაწერები არის და ამ ყველაფრის გათვალისწინებით, დიდი იმედი მაქვს, რომ სამართლიან გადაწყვეტილებას და გამამართლებელ ვერდიქტს გამოიტანენ, – განაცხადა კობიაშვილმა.

თამაზ გორთამაშვილის ოჯახმა პროკურატურას საქმის მოსამართლის, გოგა კუპრეიშვილის, აცილების მოთხოვნით მიმართა.

როგორც გარდაცვლილის რძალი, ნინო გულიაშვილი „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას აღნიშნავს, სასამართლო სხდომაზე, სადაც ბრალდებისა და დაცვის მხარემ ნაფიც მსაჯულებს საქმის არსი გააცნეს, მოსამართლე ბრალდების მხარის მიმართ არაეთიკურად იქცეოდა და ირონიული იყო.

მისივე მტკიცებით, მოსამართლე ბრალდებულის მიმართ „პატივისცემით იყო განმსჭვალული“.

– მივმართე პროკურატურას და საჩივარი დავწერე მოსამართლე გოგა კუპრეიშვილის წინააღმდეგ. სასამართლო სხდომაზე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ადგილი აქვს მიკერძოებას. მთელი სხდომის განმავლობაში, მოსამართლის მხრიდან ირონიის გამოვლენას ჰქონდა ადგილი. ბრალდებას, რაც იქ მყოფი ოჯახის წევრებისთვის უდიდესი ტრაგედიაა, ღიმილით არ უნდა კითხულობდე. მოსამართლე მთელი სხდომის განმავლობაში ირონიული იყო. გამიკვირდა, რომ ამ ყველაფერს არ მალავდა, პირდაპირ აწვდიდა ნაფიც მსაჯულებს ისეთ მესიჯებს, რომ პატივისცემით იყო განმსჭვალული ბრალდებულის მიმართ. ძალიან ბევრ შენიშვნას აძლევდა ბრალდების მხარეს.



ერთი განცხადება შევიტანე დამოუკიდებელი ექსპერტის სახელზე, მეორე განცხადებას გორის რაიონულ სასამართლოში შევიტან, რომ განიხილონ საქმე და გამოძიება დაიწყოს, თუ რა ინტერესები აქვს, არის თუ არა ეს მიკერძოება? – აღნიშნა ნინო გულიაშვილმა.

სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას მოსამართლემ გარდაცვლილის დედას უხეშად მიმართა.

– დაიკითხა მიცვალებულის დედა. აქაც ძალიან დიდი უპატივცემულობა გამოიჩინა მოსამართლემ. როდესაც მიცვალებულის დედა სხდომათა დარბაზში შემოვიდა დასაკითხად, აღელვებული იყო, არ შემოუტანია სათვალე. როდესაც მიმართა მოსამართლემ, რომ ფიცი წაეკითხა, ძალიან მორიდებით და მოწიწებით უთხრა, რომ სათვალის გარეშე ვერ წაიკითხავდა, რაზეც ძალიან უხეშად უპასუხა მოსამართლემ, რომ რამენაირად მოეხერხებინა და წაეკითხა, ძალიან უხეშად მიმართა, თვითონ წაუკითხა და ჰკითხა, იყო თუ არა თანახმა, აღნიშნა გულიაშვილმა.

# „ცოლს 5 საათი სცემდა, მერე ცოლისძმას და სიმამრს გაუსწორდა“

## მამაკაცს 9 წელი მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და გენდერის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით, ძალადობის, წამების და მუქარის ფაქტზე ბრალდებული დამნაშავედ ცნო.

უწყების ცნობით, პროკურატურის მიერ სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2021 წლის 24 თებერვალს, ბრალდებულმა, საკუთარ სახლში, იმ მიზეზით, რომ, მისი აზრით, მის მეუღლეს არ ჰქონდა მამრობითი სქესის მეგობრების ყოლის, მათთან მიმოწერის და საკუთარი ფულადი სახსრების დამოუკიდებლად განკარგვის უფლება, გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, მის მიმართ განახორციელა წამება.

ბრალდებული ღალატის ფაქტის აღიარების მიზნით, მეუღლეზე 4-5 საათის განმავლობაში ფიზიკურად ძალადობდა, სცემდა მას და აწამებდა. წამების შემდეგ, ბრალდებულმა დაზარალებული წაიყვანა მშობლების სახლში, სადაც ფიზიკურად გაუსწორდა მეუღლის ძმას, მამას და იარაღის დემონსტრირებით და გასროლით, დაზარალებულის ოჯახის წევრებს სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული 2021 წლის 25 თებერვალს შემთხვევის ადგილზე დააკავეს.

პროკურატურის ინფორმაციით, მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111-1441 მუხლის 1-ელი ნაწილით (წამება – პირისათვის ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით და ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს, ფსიქიკურ და მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის და აღიარების მიღება, პირის დასჯა მის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის), სსკ-ის 111-126-11 მუხლის პირველი ნაწილით (ძალადობა – სისტემატური ცემა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია), სსკ-ის 111-151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (მუქარა ოჯახის წევრის მიმართ), სსკ-ის 151-ე



მუხლის პირველი ნაწილით (მუქარა – სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში), სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით (ძალადობა – ცემა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია) და სსკ-ის 1261-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოჯახში ძალადობა – ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

მათივე ცნობით, თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ბრალდებულს სასჯელის სახედ და ზომად 9 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# ვერაზე ტაილანდელი ტრანსგენდერი ქალის მკვლელობისთვის 23 წლის ვ.ც. დააკავეს

შსს-მ ტაილანდის მოქალაქე ტრანსგენდერი ქალის მკვლელობის საქმე ცხელ კვალზე გახსნა.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.



„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო და სამძებრო მოქმედებების შედეგად, 1998 წელს დაბადებული ვ.ც., განზრახ მკვლელობის ბრალდებით, ცხელ კვალზე დააკავეს. დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ვ.ც.-მ მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს, ღამით, ცივი იარაღით სხეულზე მრავლობითი ჭრილობა მიაყენა, თბილისში, გ. ახვლედიანის ქუჩაზე მდებარე ერთ ერთ მასაჟის სალონში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქე – ტრანსგენდერ ქალს, რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა. ბრალდებულმა იმავე სალონში მყოფ კიდევ ერთ ტრანსგენდერ ქალს სხეულზე დაზიანება მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მოქალაქის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული საგამოძიებო და სამძებრო მოქმედებების შედეგად, ვ.ც. თბილისში დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს“ – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# საგურამოსა და ჭოპორტში მიწის 13 ნაკვეთის მიტაცებისთვის 7 პირი ამხილეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენების გზით, დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე, შვიდი პირი ამხილეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, 2015-2016 წლებში, ყალბი დოკუმენტების გამოყენებით, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საგურამოსა და დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოპორტში, მოტყუებით დაირეგისტრირეს დიდი ოდენობით, სახელმწიფოს კუთვნილი 13 მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით 42.301 მ2, რომლის საბაზრო ღირებულება, სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, შეადგენს 755.144 ლარს. გამოძიების პროცესში დაყადაღებულ იქნა მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული მიწის ნაკვეთები.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებითა და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 6 წლამდე ვადით.

გრძელდება შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები, დანაშაულებრივ კავშირში მყოფი სხვა პირების დადგენა-მხილების მიზნით.

# ზუგდიდში დაკავებულ აქტივისტებს პატიმრობა შეეფარდათ

არჩევნების დღეს, სამეგრელოში დაკავებული ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებს ზუგდიდის სასამართლომ ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა.

ზუგდიდის მეოცე საარჩევნო უბანთან დაკავებულ გიორგი მუმლაძეს 10 დღიანი, ნიკოლოზ ნარსიას და ალბერტ მერაბაშვილს 8-8 დღით პატიმრობა შეეფარდა. მანამდე სასამართლომ კახა კვეკვესკირს 5 დღით პატიმრობა შეუფარდა.

ისინი არჩევნების დღეს უბანზე დამკვირვებლის სტატუსით იმყოფებოდნენ, წვრილმანი ხულიგნობის (166-ე მუხლი) და პოლიციის კანონიერი განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის (173-ე მუხლი) ბრალდებით დააკავეს.

დაკავებულები ზუგდიდის სასამართლოს გადაწყვეტილებას პოლიტიკურს უწოდებენ.

# ავჭალაში ტაქსის საბურავები მოიპარეს



თბილისში, ავჭალის დასახლებაში, ავტომობილის საბურავები მოიპარეს. მეპატრონეს დილით ავტომობილი საბურავების ნაცვლად, აგურებზე დახვდა.

ადგილობრივები ამბობენ, რომ მსგავსი ფაქტები ამ ტერიტორიაზე ხშირია.

– დილას გამოვედი, დაახლოებით 7 საათზე და ასეთი ამბავი დამხვდა. მეზობელმა ქალმა თქვა, რომ დილის 6-ის ნახევარზე ჩაიარა და ერთ საბურავი ჰქონდა მოხსნილი, ვიფიქრე გაუფუჭდა და აკეთებსო. დანარჩენები მერე მოუხსნიათ. იყო პოლიცია და ანაბეჭდები აიღეს, – თქვა ავტომობილის მეპატრონემ.

მომხდართან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება.

# ავარია კოსტავას ქუჩაზე 1 ადამიანი დაშავდა

გუშინ, 2 ნოემბერს, თბილისში, კოსტავას ქუჩაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა.

შემთხვევის შედეგად ერთი ადამიანი დაშავდა, რომელიც სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ჯგუფმა სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანა.

დაშავებული ავტომობილიდან მაშველების დახმარებით გადმოიყვანეს.

თვითმხილველების ინფორმაციით, ავტომობილი სავარაუდოდ გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდა და ხეს დაეჯახა.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ სახანძრო და სამაშველო ჯგუფები.

# დარახველიძე HELP-ის დისტანციური სწავლების დახურვის ღონისძიებას დაესწრო



შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე დარახველიძე და ევროპის საბჭოს შესაძლებლობების განვითარებისა და თანამშრომლობის პროექტის მენეჯერი – სეგოლენ ჩეშნაუ ევროპის საბჭოს მხარდაჭერით ჩატარებული, HELP-ის დისტანციური კურსის დახურვის ღონისძიებას დაესწრნენ, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის აქტუალურ საკითხებზე ისაუბრეს და კურსის მონაწილეებს სერტიფიკატები გადასცეს. ღონისძიების დასასრულს, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ მადლობა გადაუხადა როგორც კურსის მონაწილეებს, ასევე, ევროპის საბჭოს მხარდაჭერისა და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის.

სასწავლო კურსი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის იყო განკუთვნილი. კურსის მიზანს წარმოადგენდა სამართალდამცველების ცოდნის და კვალიფიკაციის გაუმჯობესება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით არსებულ ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებზე.

სწავლების მონაწილეებმა ინფორმაცია მიიღეს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის აქტუალურ საკითხებსა და იმ ღონისძიებებზე, რომლებიც, ერთი მხრივ, აღნიშნული კატეგორიის დანაშაულების პრევენციისთვის და მეორე მხრივ, მათზე ეფექტიანი რეაგირებისთვისაა აუცილებელი.

აღნიშნული კურსი ევროპის საბჭოს მიერ მხარდაჭერილი პროექტის – „ქალთა მიმართ ძალადობის აღსაკვეთად ინტეგრირებული მიდგომის ხელშეწყობა და გენდერული თანასწორობის გაძლიერება საქართველოში“ – ფარგლებში შემუშავდა.

პროექტი 2020 წლიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან აქტიური თანამშრომლობით ხორციელდება.

# ოქტომბერში ბელარუსის გავლით გერმანიაში 5.000-ზე მეტი მიგრანტი მოხვდა



მიმდინარე წლის ოქტომბერში ბელარუსის გავლით გერმანიაში 5.000-ზე მეტი მიგრანტი მოხვდა.

წინა თვეებთან შედარებით მიგრანტთა რაოდენობა შესამჩნევად არის გაზრდილი.

გერმანიის პოლიციის ცნობით, მხოლოდ გასულ შაბათ-კვირას ბელარუსიდან ჯერ პოლონეთში, შემდეგ კი გერმანიაში შესვლა 597-მა მიგრანტმა სცადა, რაც რეკორდული რაოდენობაა.

დაკავებულ მიგრანტებს შორის ძირითადად ერაყის, სირიის, ირანისა და ავღანეთის მოქალაქეები არიან.

ბოლო რამდენიმე კვირაა ბელარუსის გავლით ევროკავშირის ტერიტორიაზე მოხვედრას ათასობით მიგრანტი ცდილობს. გერმანიამ და პოლონეთმა საზღვრებთან პატრულირება გააძლიერეს. ევროკავშირმა ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს მიგრანტთა ნაკადების შეჩერებისკენ არაერთხელ მოუწოდა.

# სტამბოლი-ჰამბურგის რეისზე კოვიდ-19-ით ინფიცირებული მამაკაცი გარდაიცვალა



ავიაკომპანია „პეგასუსის“ სტამბოლი-ჰამბურგის რეისზე მამაკაცი გარდაიცვალა.

შემთხვევა გასულ კვირაში მოხდა. 51 წლის მამაკაცი რეისის შესრულების დროს გარდაიცვალა. ის გერმანიის მოქალაქე, შლეზვიგ-ჰოლშტაინის რეგიონის მცხოვრები იყო.

პოლიციის ცნობით, მამაკაცი მარტო მგზავრობდა, ის ფანჯარასთან იჯდა. მისი გარდაცვალება დანარჩენმა მგზავრებმა ვერ გაიგეს, რადგან ფიქრობდნენ, რომ მას ეძინა.

ჩატარებულმა ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ გარდაცვლილს კორონავირუსი ჰქონდა. ვარაუდობენ, რომ მამაკაცს სხვა სერიოზული დაავადებებიც ჰქონდა.

ჯერჯერობით უცნობია, როგორ აღმოჩნდა თვითმფრინავის ბორტზე ინფიცირებული პირი, რადგან თურქეთიდან გერმანიაში გამგზავრების წინ სავალდებულოა პისიარ ტესტის უარყოფითი პასუხისა და ვაქცინაციის დამადასტურებელი ცნობის წარდგენა.

# პარიზის პოლიციამ შეიარაღებული მამაკაცი დაჭრა



პარიზის პოლიციამ ესროლა და მძიმედ დაჭრა მამაკაცი, რომელიც დედაქალაქში, სენ-ლაზარეს რკინიგზის სადგურში მათ დანით დაემუქრა.

მამაკაცმა, რომელსაც პოლიცია იმის გამო მიუახლოვდა, რომ პირბადე არ ეკეთა, დანა ამოიღო და „ალაჰ აკბარ“ დაიყვირა.

თავდასხმის მოტივი ჯერჯერობით უცნობია.

პარიზის პროკურატურამ მომხდართან დაკავშირებით გამოძიება მკვლელობის მცდელობისა და ტერორიზმის წახალისების ფაქტებზე დაიწყო.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ღამურა ახალ ზელანდიაში წლის ფრინველად აღიარეს

გრძელკუდა ღამურა გახდა კონკურსის „წლის ფრინველის“ გამარჯვებული, რომელიც ახალ ზელანდიაში გაიმართა.

მაორების ენაზე პეკაპეკა-ტუ-როა, ანუ ახალზელანდიური გრძელკუდიანი ღამურა, იყო ერთადერთი ძუძუმწოვარა ცხოველი, რომელიც კონკურსში „წლის ფრინველი“ მონაწილეობდა.

პატარა ღამის ფრინველებს, რომელთა წონა 8-12 გრამის ფარგლებში მერყეობს, ხმა 7031 ადამიანმა მისცა.

– ვფიქრობ, გამაგდებენ, – იხუმრა ლორა კიონმა, კონკურსის ორგანიზატორი გამოცემის წარმომადგენელმა.

კონკურსში მეორე ადგილზე 4072 ხმით გავიდა ჩიტი კაკაპო, ხოლო მესამეზე აღმოჩნდა ახალზელანდიური მსროლელი, ჭინჭრისებრთა ოჯახიდან. მას ხმა 2808 ადამიანმა მისცა.

# პატრონის მიერ მიტოვებულმა ძაღლმა 100 კოალა გადაარჩინა



ავსტრალიაში პატრონების მიერ მიტოვებულმა ძაღლმა სახელად ბეარმა 2019-2020 წლების ტყის ხანძრების დროს 100-ზე მეტი კოალას პოვნასა და გადარჩენაში მიიღო მონაწილეობა და ამისთვის ცხოველთა დაცვის საერთაშორისო ფონდისგან ოფიციალური ჯილდოც მიიღო.

ექვსი წლის ავსტრალიური კულის ჯიშის ბეარი მაშველ-ძაღლად მსახურობდა, მაგრამ მისმა ადრინდელმა პატრონებმა ის ცხოველთა თავშესაფარში ჩააბარეს, ვინაიდან ვეღარ უმკლავდებოდნენ მის „უსაზღვრო ენერგიას და თამაშისადმი სიყვარულს“.

თუმცა სწორედ ამ თვისებების წყალობით მიიღეს ბეარი კვინსლენდის შტატის ქალაქ სანშაინ-კოსტას უნივერსიტეტის სამაშველო ძაღლების რაზმში. როგორც თავშესაფრის წარმომადგენელმა, დოქტორმა რომანე კრისტესკუმ განაცხადა, ყნოსვა და თამაშისადმი სიყვარული დაეხმარა ბეარს, გამხდარიყო გარეული კოალების ძებნა-გადარჩენის ოპერაციის შეუცვლელი მონაწილე.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## შედეგები

**1 ნოემბერი**

**ფეხბურთი**

### ინგლისი. პრემიერლიგა

ვულვზი-ევერტონი ........................ 2:1

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 10 | 8 | 1 | 1 | 26-3 | 25 |
| 2.ლივერპული | 10 | 6 | 4 | 0 | 29-8 | 22 |
| 3.სიტი | 10 | 6 | 2 | 2 | 20-6 | 20 |
| 4.ვესტ ჰემი | 10 | 6 | 2 | 2 | 20-11 | 20 |
| 5.მანჩესტერი | 10 | 5 | 2 | 3 | 19-15 | 17 |
| 6.არსენალი | 10 | 5 | 2 | 3 | 12-13 | 17 |
| 7.ბრაიტონი | 10 | 4 | 4 | 2 | 11-11 | 16 |
| 8.ვულვზი | 10 | 5 | 1 | 4 | 11-10 | 16 |
| 9.ტოტენჰემი | 10 | 5 | 0 | 5 | 9-16 | 15 |
| 10.ევერტონი | 10 | 4 | 2 | 4 | 16-16 | 14 |
| 11.ლესტერი | 10 | 4 | 2 | 4 | 15-17 | 14 |
| 12.ბრენტფორდი | 10 | 3 | 3 | 4 | 12-12 | 12 |
| 13.კრ.პალასი | 10 | 2 | 6 | 2 | 13-14 | 12 |
| 14.საუთჰემპტონი | 10 | 2 | 5 | 3 | 9-12 | 11 |
| 15.ასტონ ვილა | 10 | 3 | 1 | 6 | 14-19 | 10 |
| 16.უოტფორდი | 10 | 3 | 1 | 6 | 12-18 | 10 |
| 17.ლიდსი | 10 | 2 | 4 | 4 | 10-17 | 10 |
| 18.ბარნლი | 10 | 1 | 4 | 5 | 10-16 | 7 |
| 19.ნიუკასლი | 10 | 0 | 4 | 6 | 11-23 | 4 |
| 20.ნორვიჩი | 10 | 0 | 2 | 8 | 3-25 | 2 |

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

რაიო-სელტა ........................ 0:0

ლევანტე-გრანადა ........................ 0:3

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 11 | 7 | 3 | 1 | 26-12 | 24 |
| 2.სევილია | 11 | 7 | 3 | 1 | 19-7 | 24 |
| 3.სოსიედადი | 12 | 7 | 4 | 1 | 17-10 | 25 |
| 4.ატლეტიკო | 11 | 6 | 4 | 1 | 18-10 | 22 |
| 5.ბეტისი | 12 | 6 | 3 | 3 | 19-15 | 21 |
| 6.რაიო | 12 | 6 | 2 | 4 | 18-12 | 20 |
| 7.ოსასუნა | 12 | 5 | 4 | 3 | 14-15 | 19 |
| 8.ბილბაო | 11 | 4 | 6 | 1 | 11-7 | 18 |
| 9.ბარსელონა | 11 | 4 | 4 | 3 | 16-12 | 16 |
| 10.ვალენსია | 12 | 4 | 4 | 4 | 18-17 | 16 |
| 11.ესპანიოლი | 12 | 3 | 5 | 4 | 12-13 | 14 |
| 12.მალიორკა | 12 | 3 | 5 | 4 | 11-17 | 14 |
| 13.ვილიარეალი | 11 | 2 | 6 | 3 | 13-12 | 12 |
| 14.გრანადა | 11 | 2 | 5 | 4 | 11-14 | 11 |
| 15.სელტა | 12 | 3 | 2 | 7 | 10-14 | 11 |
| 16.ელჩე | 12 | 2 | 4 | 6 | 9-15 | 10 |
| 17.ალავესი | 11 | 3 | 1 | 7 | 6-14 | 10 |
| 18.კადისი | 12 | 2 | 6 | 5 | 11-19 | 9 |
| 19.ლევანტე | 12 | 0 | 6 | 6 | 11-23 | 6 |
| 20.ხეტაფე | 12 | 1 | 3 | 8 | 6-18 | 6 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ალკორკონი-იბიცა ........................ 0:2

ტენერიფე-ბურგოსი ........................ 4:0

### იტალია. სერია ა

ბოლონია-კალიარი ........................ 2:0

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 11 | 10 | 1 | 0 | 23-3 | 31 |
| 2.მილანი | 11 | 10 | 1 | 0 | 25-10 | 31 |
| 3.ინტერი | 11 | 7 | 3 | 1 | 28-12 | 24 |
| 4.რომა | 11 | 6 | 1 | 4 | 19-12 | 19 |
| 5.ატალანტა | 11 | 5 | 4 | 2 | 20-14 | 19 |
| 6.ლაციო | 11 | 5 | 3 | 3 | 22-19 | 18 |
| 7.ფიორენტინა | 11 | 6 | 0 | 5 | 16-13 | 18 |
| 8.ვერონა | 11 | 4 | 3 | 4 | 24-20 | 15 |
| 9.იუვენტუსი | 11 | 4 | 3 | 4 | 15-15 | 15 |
| 10.ბოლონია | 11 | 4 | 3 | 4 | 17-22 | 15 |
| 11.ემპოლი | 11 | 5 | 0 | 6 | 16-21 | 15 |
| 12.ტორინო | 11 | 4 | 2 | 5 | 15-11 | 14 |
| 13.სასუოლო | 11 | 4 | 2 | 5 | 15-15 | 14 |
| 14.უდინეზე | 11 | 2 | 5 | 4 | 12-16 | 11 |
| 15.სამპდორია | 11 | 2 | 3 | 6 | 14-23 | 9 |
| 16.ვენეცია | 11 | 2 | 3 | 6 | 8-17 | 9 |
| 17.ჯენოა | 11 | 1 | 5 | 5 | 15-22 | 8 |
| 18.სპეცია | 11 | 2 | 2 | 7 | 12-26 | 8 |
| 19.სალერნიტანა | 11 | 2 | 1 | 8 | 10-23 | 7 |
| 20.კალიარი | 11 | 1 | 3 | 7 | 12-24 | 6 |

### იტალია. სერია ბ

ბენევენტო-ბრეშა ........................ 0:1

ლეჩე-კოზენცა ........................ 3:1

მონცა-ალესანდრია ........................ 1:0

რეჯინა-ჩიტადელა ........................ 0:1

სპალი-პერუჯა ........................ 1:2

ტერნანა-კომო ........................ 1:2

ფროზინონე-კროტონე ........................ 2:1

პარმა-ვიჩენცა ........................ 1:0

პიზა-ასკოლი ........................ 1:1

პორდენონე-კრემონეზე ........................ 2:2

### საფრანგეთი. ლიგა 2

ვალანსიენი-ოსერი ........................ 1:2

### პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ბრაგა-პორტიმონენშე ........................ 3:0

### თურქეთი. სუპერლიგა

გირესუნი-ანთალია ........................ 1:2

ბაშაქშეჰირი-ადანა ........................ 2:1

### საბერძნეთი. სუპერლიგა

იონიკოსი-ვოლოსი ........................ 1:1

### უკრაინა. პრემიერლიგა

დნიპრო-მინაი ........................ 4:0

ვორსკლა-ჩერნომორეცი ........................ 0:0

### დანია. სუპერლიგა

ოდენსე-ორხუსი ........................ 0:0

### შვედეთი. ალსვენსკა

დეგერფორსი-გიოტებორგი ........................ 0:1

მიალბი-ჰამარბი ........................ 2:0

ჰალმშტადი-აიკი ........................ 1:0

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## განცხადებები

● 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კოშმარული სიზმრები, პიროვნებებს შორის აგრესიები, მოღალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიმთვრალე და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.

სპორტი

# ბურჯანაძე ესპანეთში საუკეთესოებშია, შენგელია მოედანს დაუბრუნდა



თორნიკე შენგელიასა და გიორგი შერმადინის შემდეგ, ესპანური ლიგა ენდესას ტურის საუკეთესო კალათბურთელის (მვპ) ტიტულის მოგების შანსი ბექა ბურჯანაძესაც ჰქონდა, მაგრამ ჩვენებური მხოლოდ სამეულში მოხვდა.

ქართველი კალათბურთელის ბეტისი ვალენსიაში ესპანური ლიგის ერთ-ერთ ფავორიტს ეთამაშებოდა და ბურჯანაძის ჩინებული თამაშის დახმარებით 84:81 გაიმარჯვა.

ბექამ მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო და მოედანზე 26 წუთი დაჰყო, რა დროშიც 18 ქულა, 3 მოხსნა და 2 ჩაჭრა მიითვალა. ბექამ შვიდჯერ ისროლა პერიმეტრიდან და 6-ჯერ ჩააგდო.

აი, რა წერია ლიგის ვებგვერდზე:

– ბეტისმა ვალენსიაში მოულოდნელი გამარჯვება იზეიმა, ბურჯანაძე კი ერთ-ერთი მთავარი გმირი გახდა. ქართველმა კალათბურთელმა ნამდვილად გაგვაკვირვა, როდესაც 18 ქულა ჩააგდო, თანაც ყველა პერიმეტრიდან. ბექამ 7-დან 6 სამქულიანი გამოიყენა, რაც ესპანეთის ჩემპიონატში მისი საუკეთესო შედეგია. ბურჯანაძის მონაგარი 3 მოხსნა და 2 ჩაჭრაც იყო, ამასთან, მის წინააღმდეგ ერთხელ დაჯარიმდნენ, რისი წყალობითაც ქართველის სარგებლიანობის კოეფიციენტი 19-ს გაუტოლდა.

სასიამოვნო ამბავი ქართველი გულშემატკივრებისთვის – საქართველოს ნაკრების კაპიტანი, თორნიკე შენგელია მოედანს დაუბრუნდა. თოკომ 20 დღის წინ მხრის ტრავმა მიიღო და თავდაპირველად ქირურგიულ ჩარევაზეც იყო ლაპარაკი. თუმცა სარეაბილიტაციო პროცესმა კარგად ჩაიარა და შენგელიამ მოახერხა მოედანზე დროულად დაბრუნება.

თორნიკემ ცსკას მაისურით ვიტიბი ლიგაზე ესტონეთში კალევის წინააღმდეგ ითამაშა. მოულოდნელად, არმიელებმა – 56:67 დათმეს. შენგელიას სტატისტიკა კი ასეთი იყო: 24 წუთი, 7 ქულა, 5 მოხსნა, 4 პასი, 3 შეცდომა, 2 დაფარება და 1 ჩაჭრა.

ნოემბრის ბოლოს შენგელიასაც და ბურჯანაძესაც საქართველოს ნაკრებთან ერთად მოუწევს თამაში. ჩვენი ეროვნული გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩებს გამართავს უკრაინასთან (26 ნოემბერი) და ესპანეთთან (30 ნოემბერი).

# ქუთაისმა ჩემპიონს მეორედაც მოუგო

**რუსთავი-ქუთაისი**
**69:90**
**(8:22, 19:26, 20:14, 22:28)**



საკალათბურთო სუპერლიგის პირველი ტურის გადადებული მატჩი რუსთავში გაიმართა, სადაც გასული სეზონის ჩემპიონთან სათამაშოდ ქუთაისი ჩავიდა. ეს გუნდები ერთმანეთს სეზონის წინ საქართველოს სუპერთასის მატჩში შეხვდნენ და მაშინ ქუთაისელებმა იოლი გამარჯვება მოიპოვეს. ასე იყო ახლაც. კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა ქუთაისელებმა ქვემოქართლელები მისსავე ქალაქში 90:69 დაამარცხეს.

როგორც ანგარიშიდან ჩანს, ბრძოლა არ შედგა. იმერულმა კლუბმა თავიდანვე რომ მოიპოვა უპირატესობა (პირველი პერიოდი 22:8 მოიგო), შეხვედრის ბოლომდე მეტოქისთვის შანსი არ მიუცია. მეორე ათწუთეული სტუმრებმა 26:19 მოიგეს და დიდ შესვენებაზე უკვე 21 ქულით იგებდნენ. საბოლოოდაც ამ სხვაობით იმარჯვეს ქუთაისელებმა, რომლებმაც მხოლოდ მესამე პერიოდი (14:20) დათმეს მასპინძლებთან.

გამარჯვებულთაგან 25 ქულით საუკეთესო იყო ჯარვის რეი, ხოლო გიორგი კორსანტიამ 18 ქულა და 9 მოხსნა მოაგროვა. საქართველოს ნაკრების წევრი უბადლოდ ისროდა საშუალო მანძილებიდან: 10-დან 9 ბურთი ჩააგდო. თუმცა, 5-ვე სამქულიანი ააცილა. ადრიან ბოუის ანგარიშზე 15 ქულა დაგროვდა. რუსთავში 15 ქულით ბომბარდირი გახდა კრისტიან კილინგი, მიხელ ჭოჭუამ და ვახტანგ გაფრინდაშვილმა შეხვედრა 11-11 ქულით დაასრულეს.

# ლეო მესი: „დარწმუნებული ვარ, რომ ბარსელონაში დავბრუნდები“

**ბარსელონადან ფრანგულ პარი სენ ჟერმენში გადასულმა ლეო მესიმ ესპანურ მედიასთან ისაუბრა. არგენტინელი ვარსკვლავი ბევრ საინტერესო თემებზე გულახდილად გვიყვება.**

***– ბარსელონადან პარიზში, „კამპ ნოუდან“ „პარკ დე პრენსზე“. სერიოზული ცვლილებაა?***

– დიახ, თავიდან, ასეთი მასშტაბის ცვლილებას ვერ წარმომედგინა. საბედნიეროდ, პარიზს უკვე შევეგუე, ბავშვები სკოლაში დადიან, ყოველდღიურ რუტინასაც, ასე თუ ისე, მოვერგეთ. თავს კარგად ვგრძნობთ.

***– ბარსადან წასვლის შემდეგ ორი თვე გავიდა. ამ ამბავს როგორ შეეგუეთ?***

– ახლაც კი, როდესაც ფეხბურთს ვუყურებ, „კამპ ნოუზე“, გულშემატკივრებთან ერთად თამაში მახსენდება. ეს ყველაფრის კიდევ ერთხელ გამოცდას ჰგავს. როგორც უკვე გითხარით, ახლა უფრო მშვიდი ვარ, ყველაფერი უკეთ ავითვისე და ვფიქრობ ყველაფერზე, რაც ხდება და რაც შეიძლება, რომ მოხდეს როგორც სპორტში, ასევე ოჯახში. ქალაქი მოგვწონს. მიუხედავად ამინდისა, პარიზი არაჩვეულებრივია. გაგვიმართლა და კარგი ამინდებიც შეგვხვდა, ხანდახან წვიმს და ცივა, მაგრამ თავს მაინც ბედნიერად ვგრძნობთ.

***– ლაპორტამ განაცხადა, იმედი ჰქონდა, რომ უფასოდ თამაშს შესთავაზებდით. დათანხმდებოდით ამას, მათ რომ შემოეთავაზებინათ?***

– სიმართლე არის ის, როდესაც მივდიოდი, ვთქვი, რომ დასარჩენად ყველაფერი გავაკეთე. არასდროს, ჩემთვის უფასოდ თამაში არ უთხოვიათ. როდესაც ხელფასის 50%-ით შემცირება მთხოვეს, უპრობლემოდ დავთანხმდი. ჩვენ კლუბის კიდევ უფრო მეტად დახმარებისთვის მზად ვიყავით, რადგან ჩემი და ჩემი ოჯახის სურვილს ბარსელონაში დარჩენა წარმოადგენდა. უფასოდ თამაში არავის უთხოვია, მაგრამ ჩემთვის, პრეზიდენტის სიტყვები უადგილოდ ჟღერს. ამ სიტყვებმა გული დამწყვიტეს, რადგან ვფიქრობ, რომ ამის თქმის საჭიროება არ არსებობდა. ეს პასუხისმგებლობის მოცილებას ჰგავს ისე, რომ სავარაუდო შედეგებს არ ითვალისწინებ. ეს ადამიანებს აფიქრებინებს ისეთ რამეს, რასაც, ჩემი აზრით, არ ვიმსახურებ.

***– გისაუბრიათ თუ არა ლაპორტასთან მას შემდეგ?***

– არა.

***– დაბრუნდებით ბარსელონაში მას შემდეგ, რაც პარი სენ ჟერმენთან კონტრაქტი დაგიმთავრდებათ?***

– თითქმის, დარწმუნებული ვარ, რომ ბარსელონაში საცხოვრებლად დავბრუნდებით. ეს არის ის, რაც მე და ჩემს მეუღლეს გვსურს.

***– და ბარსაში დაბრუნება?***

– დიახ, ყოველთვის, ვამბობდი, რომ ჩემს სურვილს ნებისმიერი შესაძლო გზით კლუბის დახმარება წარმოადგენს. ვისურვებდი, რომ ოდესღაც ტექნიკური დირექტორი გავხდე. არ ვიცი, იქნება ეს ბარსელონაში თუ სადმე სხვაგან. თუ ამის შესაძლებლობა იარსებებს, კლუბის დახმარებით ბედნიერი ვიქნები, რადგან ეს არის კლუბი, რომელიც მიყვარს, რომელმაც მინდა, რომ განაგრძოს ზრდა და განაგრძოს მსოფლიოს საუკეთესოთა შორის ყოფნა.

***– ბარსას ამჟამინდელ მდგომარეობას როგორ შეაფასებდით? როგორ ფიქრობთ, შეძლებს „ბლაუგრანა“ ამ სეზონში ტიტულების მოგებას?***

– შემადგენლობა ძალიან კარგია, ისინი კარგად თამაშობენ. ბარსას თამაშებს ვუყურებ, როდესაც ამის შესაძლებლობა მაქვს. გუნდში ბევრი ძალიან კარგი ფეხბურთელი გამოჩნდა, მაგალითად, გავი. აგუერო და დემბელე, თუ კარგად დაბრუნდნენ, გუნდს ძალიან დაეხმარებიან. ბარსა ტიტულებისთვის ყოველთვის იბრძოლებს, რადგან მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია. შესაძლოა, დასახული მიზნების მიღწევა ვერ მოხერხდეს, მაგრამ ბარსა ბრძოლას ყოველთვის გააგრძელებს.

***– ძველ თანაგუნდელებთან ურთიერთობა გაქვთ?***

– დიახ, აგუეროს ხშირად ვესაუბრები, რომელიც, მართალია, ჩემი გუნდელი არ ყოფილა, მაგრამ ახლო მეგობრები ვართ. ბუსკეტსთან და ჟორდი ალბასთანაც ხშირი კონტაქტი მაქვს.

***– წასვლის დროს, გრძნობდით თანაგუნდელებისგან მხარდაჭერას? რომელიმე მათგანმა იმედები ხომ არ გაგიცრუათ?***

– არა, იმედგაცრუებული არ ვარ, რადგან თითოეულ მათგანს იდეალურად ვიცნობ. ყველამ, ვისგანაც გვერდით დგომას ველოდი, ეს გააკეთა კიდეც. ჩემი წასვლის ამბავი მათთვისაც ისეთივე მოულოდნელი იყო, როგორც ჩემთვის. ისინი მათ მხარდაჭერას ყოველთვის ვგრძნობდი.

***– როგორია პირველი თვეები პარი სენ-ჟერმენში?***

– თავიდანვე, მქონდა განცდა, რომ უკვე დიდი ხანია, რაც ამ შემადგენლობის ნაწილი ვარ, რადგან აქ ბევრი ნაცნობი მყავს. ესპანურად მოსაუბრე თანაგუნდელები ჩემს ადაპტაციას ძალიან ამარტივებენ. სპორტულ დონეზე, თითქოს, ადაპტაციას ვერც ვიწყებ, რადგან ყოველთვე ნაკრებში გამგზავრება მიწევს. ეს შეგუების პროცესს ართულებს, მაგრამ ნელ-ნელა კლუბის დინამიკას ვეჩვევი. გარდა იმისა, რომ აქ მხოლოდ ორი თვე მაქვს გატარებული, ბევრი თამაშიც არ ჩამიტარებია. ადაპტაცია გრძელდება.

***– რა იყო ყველაზე ცუდი და ყველაზე კარგი მომენტი ამ 2 თვის განმავლობაში?***

– ცუდი მომენტები დასაწყისში იყო, როდესაც ყველაფერი სწრაფად მოხდა, აქ ჩამოვედით და თვენახევარი სასტუმროში გავატარეთ. ეს ბავშვებისთვის მარტივი არ ყოფილა. ჩვენ ქალაქის ცენტრში ვიყავით, საცობები აუტანელი იყო. ერთი საათი სკოლამდე მისვლას სჭირდებოდა, ერთი საათი – ბაზამდე. თუმცა, ამავდროულად, ვცდილობდით, რომ ეს ქალაქის უკეთ გაცნობისთვის გამოგვეყენებინა.

***– როგორია თქვენი ურთიერთობა ნეიმართან და მბაპესთან? როგორ დაგხვდნენ ისინი?***

– მთელი გუნდი ძალიან კარგია. ყველა მეხმარება. უკვე დიდი ხანია, რაც ნეისთან ახლო ურთიერთობა მაკავშირებს, მასთან კონტაქტი



არ შემიწყვეტია, მიუხედავად იმისა, რომ ერთად აღარ ვთამაშობდით. კილიანთან ურთიერთობა უცნაურად დაიწყო, რადგან არ ვიცოდით, რჩებოდა თუ არა პსჟ-ში, მას თავისი საზრუნავი ჰქონდა. საბედნიეროდ, მას შემდეგ, ერთმანეთს თანდათან ვიცნობთ, როგორც მოედანზე, ასევე მის მიღმა. ერთმანეთს შესანიშნავად ვეწყობით. გასახდელში განწყობა ძალიან კარგია.

***– რომელია უკეთესი ტრიო, ბარსას მესი-სუარესი-ნეიმარი თუ პარი სენ ჟერმენის მესი-ნეიმარი-მბაპე?***

– მათი შედარება შეუძლებელია, ორივე განსხვავებულია. ლუის 9-იანია და მბაპესგან განსხვავებული თვისებები აქვს. ბედნიერი ვარ, რომ ბარსას ტრიოს ნაწილი ვიყავი და იმედი მაქვს, რომ პსჟ-ს ტრიოც ისეთივე წარმატებული იქნება, როგორიც წინა იყო.

***– როგორ ფიქრობთ, მოიგებთ მეშვიდე „ოქროს ბურთს“?***

– სიმართლე გითხრათ, ამაზე არ ვფიქრობ. ყველაზე დიდი ჯილდო უკვე მოვიგე ეროვნულ ნაკრებთან ერთად. ეს იყო მთავარი მიზანი, რომლის მისაღწევადაც ძალიან ბევრი ვიბრძოლეთ. მეშვიდე „ოქროს ბურთი“ საოცარი იქნება, მაგრამ არანაირი პრობლემა არ მაქვს, თუ ასე არ მოხდება.

# ბათუმის დინამომ უპირატესობა შეინარჩუნა

### დინამო (ბთ)-საბურთალო 4:0

<u>ბათუმი. აჭარაბეთ არენა</u>

<u>1:0 მამუჩაშვილი (13პ), 2:0, 3:0 კობახიძე (39, 57), 4:0 გაფრინდაშვილი (87)</u>

**დინამო:** კუპატაძე, ჩაბრაძე (მარგველაშვილი 78), მ.კობახიძე, აზაცკი, აზაროვი (ნავალოვსკი 78), ალთუნაშვილი, ტეიდი, მამუჩაშვილი (თ.გაფრინდაშვილი 71), ფლამარიონი, ჯიღაური, ფანცულაია (ზარია 55)

**საბურთალო:** გოშაძე, შ.ნონიკაშვილი, კაკუბავა, ჩაჩუა, ლაცაბიძე (მამაცაშვილი 62), ძებნიაური, ლ.ნონიკაშვილი (მამაგეიშვილი 82), მალი, გულიაშვილი (კვერნაძე 62), ი.ტაბატაძე (მანდრიჩენკო 62), გოჩოლეიშვილი (კოხრეიძე 72)

ბათუმის დინამოს როგორც კი თბილისელი სეხნიების სუნთქვა მოესმა, თამაშის ხარისხს მოუმატა და ლიგის მაღალი ადგილების პრეტენზიის მქონე საბურთალო მარტივად და დიდი ანგარიშით, 4:0 დაამარცხა.

ზღვისპირელებმა აქცენტი თავიდანვე შეტევაზე გააკეთეს და რამდენიმე გაცუდებული



მომენტის შემდეგ მამუჩაშვილმა პენალტი ზუსტად დაარტყა.

შემდეგ მასპინძელთა კაპიტნის, მამუკა კობახიძის დრო დადგა – ბათუმელთა მცველმა დუბლი შეასრულა და მატჩის ბედი გადაწყვიტა. ბოლო წერტილი კი, შეცვლაზე შესულმა თორნიკე გაფრინდაშვილმა დასვა.

აჭარული გუნდი ისევ 4 ქულით გაექცა მდევარ თბილისის დინამოს.

### ლოკომოტივი-სამტრედია 4:2

<u>საგურამო. ლოკო-საგურამო</u>

<u>1:0 სიხარულიძე (22), 1:1 პავიშიჩი (39), 1:2 გადრანი (56), 2:2 სიხარულიძე (71), 3:2, 4:2 დიასამიძე (72, 80)</u>

**ლოკომოტივი** : თევდორაძე, გაბაძე, სანდოხაძე, ვადე, უბილავა (ქველაძე 70), დარცმელია, იმრანი, კახაბრიშვილი (დიასამიძე 55), სამურკასოვი (ჭიაბრიშვილი 85), გავაშელიშვილი (იაკობიძე 70), სიხარულიძე

**სამტრედია:** ქურდაძე, მჭედლიშვილი, ცეცხლაძე, კვირკვია, მესიაჩენკო (შენგელია 78), არაბიძე, ლომთაძე (რობაქიძე 87), იოსელიანი (ო.კობახიძე 70), პავიშიჩი (ენდელაძე 78), გიორგაძე, გადრანი

ლოკომოტივმა დაგეგმილი გამარჯვება მოიპოვა და ევროსაგზურისთვის ბრძოლაში ჯერ კიდევ რჩება.

სიტუაცია მოედანზე გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდისთვის რამდენჯერმე შეიცვალა: თავდაპირველად იგებდა, შემდეგ – აგებდა. თუმცა, ლოკომოტიველთა მწვრთნელის შეცვლებს სამტრედიელებმა ალღო ვერ აუღეს და ერთწუთიან მონაკვეთში 2 გოლი გაუშვეს.

მატჩის ბოლოსკენ დიასამიძემ ერთიც გაიტანა და გამარჯვებულის საკითხი გადაჭრა.

### სამგურალი-შუქურა 0:0

<u>წყალტუბო. 26 მაისი</u>

სამგურალმა თუ ასე გააგრძელა, შესაძლოა, სახიფათო ზონაშიც ამოჰყოს თავი. არადა, სეზონის შუაში დამშვიდებული უნდა ყოფილიყო. ერთია, ბოლოს ქულების დაგროვებას მოუკლო და ფლეი აუტის ზონაში მყოფი გუნდის სუნთქვა ესმის.

შუქურასთვისაც გართულდა მდგომარეობა. ახლა ზღვისპირელებს დიდი ოფლისღვრა მოუწევთ, რომ ფლეი აუტი თავიდან აიცილონ.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 32 | 19 | 10 | 3 | 66-25 | 67 |
| 2.დინამო (თბ) | 32 | 19 | 6 | 7 | 54-25 | 63 |
| 3.დილა | 32 | 16 | 8 | 8 | 44-30 | 56 |
| 4.საბურთალო | 32 | 13 | 11 | 8 | 44-36 | 50 |
| 5.ლოკომოტივი | 32 | 15 | 5 | 12 | 54-55 | 50 |
| 6.სამგურალი | 32 | 8 | 13 | 11 | 31-38 | 37 |
| 7.თელავი | 32 | 9 | 8 | 15 | 28-48 | 35 |
| 8.ტორპედო | 32 | 6 | 12 | 14 | 28-41 | 30 |
| 9.შუქურა | 32 | 5 | 12 | 15 | 26-42 | 27 |
| 10.სამტრედია | 32 | 5 | 5 | 22 | 30-65 | 20 |

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის. როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**ნანა ნადარეიშვილი:** მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

**ხვიჩა გოგია:** კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

**მზია დუნდუა:** მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

### კროსვორდი ბ



**შვეულად:** 2. უსწავლელი, უვიცი ადამიანი; 3. გულის ნადები, საიდუმლო; 4. ნივთიერება, რომელიც დენს არ ატარებს; 5. კვირა დღის ძველი ქართული სახელწოდება; 6. ბეტონიტური თიხის საბადო გურიაში; 8. სახალხო დღესასწაული ესპანეთსა და ლათინურ ამერიკაში; 11. მსხვერპლად შეწირული რამე; 14. თირკმლისზედა ჯირკვლის მიერ გამომუშავებული ჰორმონი; 15. კაფე-ბარი საცეკვაო მოედნით; 16. ხელოვნურად მიღებული რადიაქტიური ქიმიური ელემენტი; 17. ღია, გაშლილი ადგილი მთებს შორის; 19. იტალიური რესტორანი; 21. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 22. მაგარნაჭუჭიანი ტყის ხილი.

**თარაზულად:** 1. მრავალსართულიანი კარსტული მღვიმე იმერეთში; 5. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი არაბეთის ნახევარკუნძულზე; 7. ქართველი კარდიოლოგი ქალი, აკადემიკოსი; 9. სისხლის შემსწავლელი მეცნიერება; 10. დაბა ბოლნისის რაიონში; 12. უფლისწულის ტიტული ესპანეთში; 13. ტურისტთა კაპიშონიანი ქურთუკი; 16. ქალაქ ფოთის პირველი მერი; 17. ხბოს, თხის ან ცხვრის ტყავისგან დამზადებული ღვინის, არყის ჩასასხმელი ჭურჭელი; 18. პოპულარული ბაღ-რესტორანი ძველ თბილისში; 20. ჩინური ნავთობკომპანია; 22. ნაქსოვი ფეხსამოსი; 23. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მარტვილის რაიონში; 24. სტადიონი ლონდონში; 25. ხელოვნური წყალსაცავი თიანეთის რაიონში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მარჩილი; 2. რონდელი; 3. ენისეი; 4. ბერიო; 5. ბაბილონი; 7. გოა; 11. ლუსონი; 15. ქუთაისი; 16. ორტეგა; 17. იოკაი; 18. კასიო; 20. ლეონი; 22. ლაგი.

**თარაზულად:** 6. ალდაგი; 8. ჯონსონი; 9. კურსები; 10. ჩარგალი; 12. უწერა; 13. ოპელი; 14. ანასეული; 19. ურთხელი; 21. სოფელი; 23. აიეტი; 24. ბადაგი; 25. ასპინძა; 26. კომპანია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. ექოლოტი; 3. ეპიტაფია; 4. ადაპტაცია; 5. მღილი; 6. ოსკარი; 8. არაქსი; 11. ლიქიორი; 14. ექსტერიერი; 15. წერეთელი; 16. რეზონანსი; 17. ყაურმა; 19. ალფონსი; 21. ტონგა; 22. ფაუნა.

**თარაზულად:** 1. პენელოპა; 5. მუცო; 7. ფრანკი; 9. მოდიფიკაცია; 10. კალმარი; 12. არაქისი; 13. ბოცვერი; 16. რარიტეტი; 17. ყავა; 18. განჯა; 20. ევერტონი; 22. ფლეში; 23. კოლომბო; 24. ნადური; 25. გოგრა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

3 ნოემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 3.1678 |
| ევრო | 3.6740 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 4.3174 |
| 100 რუსული რუბლი | 4.4115 |

## ამინდის პროგნოზი 3 ნოემბრისათვის




## ანტონიო კონტე ტოტენჰემის მწვრთნელი გახდა



ტოტენჰემს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს და ის ანტონიო კონტეა, რომელმაც გუნდთან 2 - წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

კონტეს უკვე აქვს პრემიერლიგაში მუშაობის გამოცდილება – ის ჩელსის მთავარი მწვრთნელი იყო და 2017 წელს გუნდთან ერთად ინგლისის ჩემპიონიც გახდა.

კონტემ წარმატებას ინტერთანაც მიაღწია, თუმცა გუნდის ხელმძღვანელობასთან კონფლიქტის გამო ზაფხულში მან ინტერი დატოვა.

## ედენ აზარის მომავალი კვლავ გაურკვეველია

მადრიდის რეალის ბელგიელი ნახევარმცველის ედენ აზარის მომავალი კვლავ გაურკვეველია, რადგან ანჩელოტი მასზე აქცენტს არ აკეთებს, აზარს კი სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არ სურს.

ხშირად ვრცელდება ინფორმაცია აზარის ჩელსიში დაბრუნებაზე, თუმცა ჩელსი ამ ინფორმაციას ჯერ არ ადასტურებს.

სხვა ვარიანტები აზარისთვის ჯერჯერობით არ არის.

## იბრაჰიმოვიჩი: „კარიერის დასრულებაზე ჯერ არ ვფიქრობ“



მილანის ფორვარდმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა თავის ასაკზე და კარიერის დასრულებაზე ისაუბრა, თუმცა, მისი თქმით, ის ჯერ ამის გაკეთებას არ აპირებს.

ზლატანის აზრით, მას შეუძლია რამდენიმე წელიწადი მაღალ დონეზე თამაში:

– ყოველთვის ვამბობდი, რომ ასაკი მხოლოდ ციფრებია და მეტი არაფერი, ამიტომ კარიერის დასრულებას არ ვაპირებ. წელს მილანი იტალიის ჩემპიონობისთვის იბრძოლებს, მაგრამ კარგად ვიცით, რომ ეს რთული იქნება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ურეკავს და ეკითხება:

– ბიჭო, ზღვაზე ბანკის ფულით წავედი, ვალს ველარ ვისტუმრებ და ვითომ „ზაგარს“ ამაფხიკავენ?

●●●

კაცს სიდედრი უკვდება, ფაქტიურად სიცოცხლის ბოლო წუთებს ითვლის. კაცი გავარდა აქეთ-იქით, კუბოს შეკვეთა მისცა, ქელეხისთვის დარბაზი დაიქირავა, სურათი წაიღო გასადიდებლად. სახლში დაბრუნებული კი ხედავს, სიდედრი კარგადაა და ეუბნება:

– მგონი გადავრჩი, შვილო.

– არ ვიცი მე, სულ ფეხებზე მკიდია, ხალხი დაპატიჟებულია, შეკვეთა მიცემულია, ხუთშაბათს, 3 საათზე გასვენებაა.

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ძვირფასო, უკვე ათი წლის დაოჯახებულები ვართ და ჩემ მიმართ სინაზეს მხოლოდ მაშინ ავლენ, როდესაც ფული გჭირდება...

– და რა, ეგ საკმარისად ხშირად არ ხდება?!

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– არა, ძმაო, ზოგი არც ცოცხალი უქნია ღმერთს და არც მკვდარი!

– რაზე ამბობ?

– რაზე და გუშინ გივის სიდედრის გასვენებაზე ვიყავი, იმნაირი მახინჯი მკვდარი მე არ მინახავს... ჭირისუფლებს გამოსვლის რცხვენოდათ და სამზარეულოდან ტიროდნენ...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ქორწილის ღამეს სიძეს პატარძალი ხელიდან გაუვარდა და სამი ნეკნი დაუზიანა



ინგლისის ოქსფორდშირის საგრაფოს ქალაქ უოლინგფორდის მცხოვრებმა წყვილმა საკუთარი უიღბლო ქორწილის ღამე და თაფლობისთვე გაიხსენა. ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ კი ისინი დიდი ბრიტანეთის ყველაზე უიღბლო სიძე-პატარძლად დაასახელა.

40 წლის ჯიმმა და 41 წლის ამელია დესმონდებმა კოვიდ-19-თან დაკავშირებით შემოღებული შეზღუდვების გამო, სამჯერ გადადეს ქორწილი. საბოლოოდ, დანიშნული ქორწილის წინა დღეს, წყვილს თავიდან მოუხდა საქორწინო ბეჭდების შეკვეთა, ვინაიდან ადრე შეკვეთილი სხვა მისამართზე მიიტანეს. ქორწილის დღეს ლიმუზინი, რომლითაც წყვილი ეკლესიაში უნდა მისულიყო, არ მივიდა და სტუმრები სიძე-პატარძალს მთელი საათი ელოდნენ.

ქორწილის შემდეგ ახლად შეუღლებულები პირველ ღამეს სასტუმროში დარჩნენ და ჯიმიმ გადაწყვიტა, შეყვარებული საწოლამდე ხელში აყვანილი მიეყვანა, მაგრამ მის საქორწინო კაბაში ფეხები აებლანდა, დაეცა და ახლად შერთული მეუღლეც ხელიდან გაუვარდა. მამაკაცმა ამელია საავადმყოფოში გადაიყვანა, სადაც ქალს სამი ნეკნის მოტეხილობა დაუდგინეს და საქორწინო მოგზაურობის გადადება ურჩიეს.

წყვილმა გადაწყვიტა, ექიმების რჩევა არ გაეთვალისწინებინათ და მაინც გაემგზავრნენ კუნძულ იბიცაზე თაფლობისთვის გასატარებლად. წყვილს ორჯერ დააგვიანდა რეისზე: თავდაპირველად მათ ჩანთა დაკარგეს, რომელშიც მათი პასპორტები იდო, შემდეგ კი ჩანთა ტაქსიში დარჩათ. მოგზაურობიდან დაბრუნებულები მიხვდნენ, რომ ბინის გასაღები ესპანეთში, კუნძულ იბიცაზე დარჩათ. შედეგად მათ ოსტატის დაქირავება და მისთვის ასი ფუნტის გადახდა მოუხდათ კარის საკეტის გასაღებად.

## მანქანა ერთ ადგილზე ნახევარი საუკუნის დგომის შემდეგ ძეგლად იქცა




იტალიაში ქუჩაში მდგარი საიდუმლოებით მოცული ავტომობილი ლაჩია პულვია ერთ ადგილზე თითქმის ნახევარი საუკუნის დგომის შემდეგ ადგილობრივ ღირსშესანიშნაობად იქცა.

ანჯელო ფრეგოლენტმა, ამჟამად 94 წლის პენსიონერმა, მანქანა ქალაქ კონელიანოს ზამბონის ქუჩაზე ჯერ კიდევ 1974 წელს დატოვა საგაზეთო ჯიხურის მახლობლად, რომელსაც მეუღლე ბერტილა მოდოლოსთან ერთად ამუშავებდა. ამის შემდეგ ნელ-ნელა ლანჩია პოპულარული გახდა ადგილობრივებსა და ტურისტებს შორის. ისინი მის ფონზე ფოტოსურათებს იღებდნენ და სოციალურ ქსელებში აქვეყნებდნენ.

47 წლის შემდეგ ხელისუფლებამ მანქანის აღების და მისი ძეგლად გადაქცევის გადაწყვეტილება მიიღო. თავდაპირველად ის კლასიკური ავტომობილების შოუს გადასცეს, რომელიც პადუაში იმართება. ამ დროისთვის კი ის სახელოსნოშია მოთავსებული რესტავრაციისა და დაზიანებების მოსაშორებლად.

## ნიანგის თავდასხმაგადატანილმა ბიჭმა გადაწყვიტა, ჰელოუინზე მის კოსტიუმში გამოეწყოს



მექსიკაში 12 წლის ტურისტმა აშშ-დან ნიანგის თავდასხმა გადაიტანა, კინაღამ ფეხი დაკარგა და გადაწყვიტა, ჰელოუინზე რეპტილიის კოსტიუმში გამოეწყოს.

მიმდინარე წლის ივნისში ჩარლი ბული კანკუნში დედასთან და შვიდი წლის ძმა ჯონისთან ერთად ისვენებდა. ერთ დღეს ის სხვა ბავშვებთან ერთად აუზთან თამაშობდა. მან გადაწყვიტა ლაგუნასკენ მიმავალ კიბის საფეხურებზე დამალულიყო. ამ დროს მოულოდნელად წყლიდან ნიანგი ამოხტა, თავს დაესხა და კბილებით ფეხში ჩააფრინდა. რეპტილიის სიგრძე დაახლოებით სამ-ოთხ მეტრს აღწევდა.

– ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს დანა ჩამარტყეს, – განაცხადა ბულმა. ბიჭის დედის თქმით, მასთან დასახმარებლად მამაკაცების გუნდმა მიირბინა. ერთ-ერთმა ბიჭის გამორიდება დაიწყო, ხოლო სამნი ნიანგს მუშტებს და ფეხებს ურტყამდნენ, თვალებზე ბალიშებს აფარებდნენ. საბოლოოდ რეპტილიამ ყბები გახსნა და მისგან დაკბენილი ბიჭი ნაპირზე ამოიყვანეს.

სასწრაფო დახმარება შემთხვევის ადგილზე 30 წუთში მივიდა. საავადმყოფოში ჩარლის ოპერაცია წარმატებით ჩაუტარდა, თუმცა მის და მის ოჯახს მექსიკაში კიდევ ერთი თვით დარჩენა მოუწია. ამ დროისთვის მოზარდი თითქმის ბოლომდე გამოჯანმრთელდა და ფეხბურთის თამაშსაც დაუბრუნდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ქალმა ლატარიაში გამარჯვების შემდეგ სამსახურს თავი დაანება და მოჩვენებებზე მონადირე გახდა




ინგლისის ნოტინგემშირის საგრაფოს ქალაქ ჰაკნოლში წყვილმა ლატარიაში გაიმარჯვა და 30 წლის განმავლობაში ყოველთვიურად 10 ათას ფუნტ სტერლინგს მიიღებს.

იღბლიანი გამოდგა ოჯახური წყვილი: 39 წლის ლაურა ჰოილი და 37 წლის კირკ სტივენსი. ლატარიის თამაშის გარდა წყვილს სხვა გატაცებაც აქვს: ისინი დიდი ხანია მოჩვენებებზე ნადირობით არიან დაკავებულები და იუთუბიზე საკუთარი არხი აქვთ, სადაც საკუთარ შთაბეჭდილებებს, ნანახს და მოსმენილს აზიარებენ.

როგორც კი ბრიტანელებმა მოგების შესახებ შეიტყვეს და ისიც გაიგეს, რომ სიცოცხლის ბოლომდე იქნებოდნენ უზრუნველყოფილები, ქალმა გადაწყვიტა, ლოჯისტიკის სამსახურიდან განთავისუფლებულიყო და მთლიანად მოჩვენებებზე მონადირედ დაეწყო მუშაობა. ქმარი მის მაგალითს არ აჰყვა და ინჟინერ-ავიაკონსტრუქტორად და მოჩვენებებზე მონადირედ მუშაობა ერთმანეთს შეუთავსა.

წყვილი მოგებული თანხით მოჩვენებებით პოპულარული ადგილების მონახულებას და პროფესიონალური მოწყობილობის შეძენას გეგმავს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 2 ნოემბრისათვის

**ვერძი** – დღე რთული იქნება. მოსალოდნელია კონფლიქტი საქმიან პარტნიორებთან. ემოციები შეიკავეთ. **კურო** – მომძლავრებული ენერგია დიადი საქმეებისკენ გიბიძგებთ. წარმატება გელით შემოქმედებით სფეროში. **ტყუპები** – გაისეირნეთ, ურთიერთობა დაამყარეთ ახალგაცნობილ ადამიანებთან. შესაძლოა, ვილაც გავლენიან პირს თქვენი მფარველობის სურვილი გაუჩნდეს. **კირჩხიბი** – ეცადეთ, გარშემომყოფებს კომფორტი შეუქმნათ. იყავით დამთმობი და ლოიალური. **ლომი** – ფსიქოლოგიურ დაძაბულობას გრძნობთ. ერიდეთ საკუთარი აზრის კატეგორიულად გამოხატვას. **ქალწული** – პასიური დღეა. განმარტოება და საკუთარ თავში ჩაღრმავება გჭირდებათ. ნურაფერს დაგეგმავთ. **მორიელი** – იფრთხილეთ. ნერვებს ნუ აჰყვებით. ნებისმიერი გადაწყვეტილება საღი განსჯისა და ანალიზის შემდეგ მიიღეთ. **მშვილდოსანი** – კეთილისმყოფელი პერიოდია ინტიმური შეხვედრებისა და საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობისათვის. **მშვილდოსანი** – გაერთეთ, დაისვენეთ, გადით ქალაქგარეთ. შეგიძლიათ, განწყობა ბაღში მუშაობითაც გამოიკეთოთ. ვარსკვლავები გწყალობენ. **თხის რქა** – შემოქმედებითი ჩანაფიქრის რეალიზაციისათვის შესაფერისი დღეა. სასიკეთოდ წაგადგებათ ასევე ფიზიკური დატვირთვა, ვარჯიში. **მერწყული** – ფინანსური ოპერაციები წარმატებული იქნება. ფულის გონივრულად დაბანდება კარგ მოგებას მოგიტანთ. **თევზები** – ზებუნებრივი ძალები გმფარველობენ. შემოსავალი საგრძნობლად გეზრდებათ. საქმიანი გარიგებებით კმაყოფილი დარჩებით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. ჩრდილო ამერიკელ ინდიელთა საცხოვრებელი ქოხი; 2. ფრანგი ფილოსოფოსი, სოციოლოგი, ანარქიზმის თეორეტიკოსი; 3. მსოფლიოში უმსხვილესი ალუმინის მწარმოებელი კანადური კომპანია; 4. მანძილი იდაყვიდან შუათითის წვერამდე; 5. ფრანგი მხატვარი, ფერწერული ტილო „თავისუფლება ბარიკადებზე“ ავტორი; 7. სამხრეთკორეული ავტომობილი; 11. ბავშვთა ქალაქი თბილისში; 15. პისტოლეტების მწარმოებელი ცნობილი გერმანული ფირმა; 16. სილამაზის, სიყვარულის, ბედნიერების, სიმდიდრის ღვთაება ინდუიზმში; 17. აკვიატებული შიში; 18. საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტი; 22. ხორბლის უძველესი ჯიში.

**თარაზულად**: 6. აპრილის თვის ქართული სახელწოდება; 8. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 9. ჭაობში ბინადარი სისხლის მწოველი ჭია; 10. საღამოს სადილი; 12. ტროპიკული ხილი; 13. ზღაპრული შინაარსის იგავი; 14. ქართველი საბავშვო მწერალი ქალი; 19. მე-17 საუკუნის ქართველი დიპლომატი ქალი; 21. აჭარული ცეკვა; 23. სათამაშო ქაღალდი; 24. თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა; 25. სიკო დოლიძის კინოკომედია; 26. ინგლისელი მწერალი ქალი, ჰარი პოტერის პერსონაჟის შემქმნელი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*